საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 13 მარტი. 2019 წ. №50 (8716) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

დღე საქართველოს სრულ-წლოვანებისა!



5

ქაშუეთში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა

ცხოვრება მავთულ-ხლართებთან...

8

ოკუპანტების მიერ დაკავებულთა გზა

გიორგი ზარდიაშვილი: ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მომავალში იგი პრემიერად დაბრუნდება

4

ლელობურთი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი!

ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

„ლელო“ უძველესი ქართული სიტყვაა და ძალით გადატანას ნიშნავს. სახელწოდება ნათლად განმარტავს მის შინაარსს, ვხვდებით, რომ საქმე გვაქვს შეუპოვარ ბრძოლასთან. ძველი ქართული ეროვნული სპორტის სახეობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლელო, ქართული ჭიდაობა, დოღი და სხვა.

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს ძირძველი თამაში ბურთაობიდან მოდის, რომელიც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. სხვადასხვა მასალების მიხედვით აღწერილია, რომ ლელოს უმთავრესად სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში სახალხო (რელიგიურ) დღესასწაულებზე თამაშობდნენ, ხოლო ძირითად სათამაშო ცენტრებად აღიარებული იყო: ფოთი, ბათუმი, ხონი, კულაში, სენაკი, ზუგდიდი, ქუთაისი და სხვა.

საქართველოში დღემდე თამაშობენ „ლელობურთს“, რომელიც ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ყოველი წლის აღდგომის დღესასწაულზე იმართება. ამ თამაშს გურულები 1854 წლის „შუხუთფერდის“ ბრძოლას უკავშირებენ, ისტორიულ ბრძოლას, რომელიც ნიგოითის ბრძოლის სახელითაცაა ცნობილი და რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს გაიმართა.

წლების მანძილზე, ბურთის აგდების პატივი ლელოს უხუცეს მოთამაშეს ჰქონდა. 10 წელზე მეტია ეს პატივი აქვს სოფლის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ საბას. ტრადიციულად, ის დილით მიცვალებულთა პანაშვიდს ატარებს და ბურთს ეკლესიაში ინახავს საღამოს 5 საათამდე (თამაშის დაწყების უცვლელ დრომდე).

გასაოცარი და შესანატრი...



ნოდარ ბატონო!

უდიდესი სიამოვნებით წავიკითხე შენი შესანიშნავი წიგნი „ოქროს აკვანი მოწამეთაში“. როგორი დიდი სიყვარულითა და არაჩვეულებრივი გულწრფელობით გადმოსცემ მოგონებებს მშობლებზე, შვილებზე და შვილიშვილებზე, ლერიზე, მეგობრებზე, ყოფილ შენს ხელმძღვანელებზე და უმაღლესი თანამდებობის პირებზე.

განსაკუთრებული სითბოთი იხსენებ შენს ერთგულ მეუღლეს, ქალბატონ გალიასა და მის გარემოცვას — ხელოვნების მოღვაწეთა გასაოცარ გალერეასა და სახელოვან ისტორიულ პიროვნებათა დაუვიწყარ სახეებს.

რაც მთავარია, ეს ქმნილება მიუძღვენი ძვირფასი მეუღლის ხსოვნას. ძლიერი და წარმატებული მამაკაცის გვერდით ყოველთვის ჭკვიანი და ინტელექტუალი ქალი დგას.

ეს დიდებული ნაშრომი განა მარტო შენი მრავალრიცხოვანი და მშვენიერი შთამომავლებისთვის შექმენი, არამედ მთელი ერისთვის.

აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი დაიწერა 90 წლის მხცოვან ასაკში. შენ ყოველთვის გქონდა და საოცრებაა, რომ ამ ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნე ბრწყინვალე, გასაოცარი და შესანატრი მეხსიერება.

მე შეგადარებ მხოლოდ გოეთეს, რომელმაც ამავე ასაკში შექმნა „ფაუსტი“ და ეს არ იქნება ხმამაღალი განაცხადი.

ვკითხულობ შენს ნაშრომს და მიპყრობს საოცარი გრძნობა და აღფრთოვანება, როგორ შეეძლო ერთი ადამიანის ნიჭსა და გონიერებას შემოენახა ზღვა მასალა, განსხვავებულ მოვლენათა და გარემოებათა უბადლო თანამიმდევრული თხრობისა ასეთი წარმოუდგენელი სიზუსტით. ეს მხოლოდ ღვთით მომადლებულ უნიჭიერეს ადამიანთა ხვედრია.

ჩემო ნოდარ, მე, ბელა და მთელი ჩემი ოჯახი გულითად მადლობას და სიყვარულს გამოვხატავთ შენდამი, წიგნში აღწერილი იმ თბილი და კეთილი მოგონებების გამო, რამაც ჩვენი ოჯახები ნათელ-მირონობით დააკავშირა გონიერი და შორსმჭვრეტელი ქალბატონი გალიას მეთაურობითა და მონდომებით.

ბატონ ნოდარს დღეს შეუსრულდა 90 წელი.

მან განვლო რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზა. უკრაინაში 22 წელი წარმატებით იღვაწა. სკკპ XXIV ყრილობაზე ის იყო ერთადერთი ქართველი დელეგატი უკრაინიდან.

წარმატებული იყო, როგორც საქართველოს მშენებლობის მინისტრის, ასევე საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილის თანამდებობებზე.

ის გახლდათ შესანიშნავი დიპლომატი, ჯერ საბჭოთა საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი რუსეთში.

ნოდარ ბატონო, გილოცავ 90 წლის ღირსშესანიშნავ იუბილეს.

ღმერთო, უმრავლე ჩემს სამშობლოს ნოდარ მეძმარიაშვილის სადარი ღირსეული პიროვნებები და ჭეშმარიტი მამულიშვილები.

ულრმესი პატივისცემით

ომარ მარგველაშვილი

12.03.2019

რედაქციისგან: **ორი დღეა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება საიუბილეო მასალები ფრიად გამორჩეული მოქალაქისა და მშენებლის ნოდარ მეძმარიაშვილის 90 წლისთავის გამო. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა ჩვენი გაზეთის ასწლიან ისტორიაში, როცა რედაქციის დაუკვეთავად თვითონ საზოგადოებამ გადაწყვიტა ამ ერთ-ერთი იშვიათი ადამიანის და პროფესიონალის იუბილეს ასე ფართოდ აღნიშვნა. ამას, ცხადია, მართლაც დამსახურება უნდა!**

იხ. 6 გვ.

გიორგი ქობულია: ქართულ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ სტარტაპებს ამერიკაში „სამსუნგის“ ინოვაციების ცენტრთან დავაკავშირებთ...

„მოვილაპარაკეთ, რომ აშშ-ში, „სამსუნგის“ ინოვაციების ცენტრთან დავაკავშიროთ საქართველოს ტექნოლოგიური და ინოვაციური სტარტაპები“ – ამის შესახებ კორეაში ვიზიტით მყოფმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ „სამსუნგის“ ვიცე-პრეზიდენტებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, „სამსუნგის“ აშშ-ის ინოვაციების ცენტრი ეძებს საინტერესო იდეებს და ამ პროცესში ქართული სტარტაპების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში ინოვაციების განვითარებისთვის.

„საინტერესო შეხვედრა გვქონდა „სამსუნგის“ ცენტრალურ ოფისში, კომპანიის ორ ვიცე-პრეზიდენტთან. განვიხილეთ რამდენიმე საკითხი საქართველოში ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება, რომელზეც ვისაუბრეთ და მოვილაპარაკეთ, იყო საქართველოში ტექნოლოგიური და ინოვაციური სტარტაპების დაკავშირება „სამსუნგის“ ინოვაციების ცენტრთან აშშ-ში. ეს ცენტრი ეძებს საინტერესო იდეებს და საკითხის განხილვის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მათ რამდენიმე ქართული სტარტაპის იდეებიც გამოადგეთ. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი სტარტაპებისა და ინოვაციების განვითარებისთვის“ – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

„სამსუნგის“ ვიცე-პრეზიდენტებთან შეხვედრა სეულთან ახლოს, ქალაქ სუვონში „სამსუნგის“ ციფრულ ქალაქში გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი ქობულიამ ციფრულ ქალაქში მდებარე „სამსუნგის“ ინოვაციური მუზეუმი დაათვალიერა.

კორეა საქართველოს უახლოვდება

საქართველო და კორეა მცირე და საშუალო საწარმოებისა და სტარტაპების მხარდაჭერის კუთხით მემორანდუმს გააფორმებენ, რომლის თანახმადაც კორეული მხარე ქართველ კოლეგებს გამოცდილებას გაუზიარებს, ხოლო ადგილობრივ სტარტაპერებს კორეაში მიიწვევს, სადაც მათ საკუთარი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ, – აღნიშნულ საკითხზე შეთანხმდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია და კორეის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და სტარტაპების მინისტრი ჰონგ ჯონგ-ჰაკი. შეხვედრა გიორგი ქობულიას კორეაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე კორეის მხარემ დეტალურად ისაუბრა იმ ინსტრუმენტებზე, რომლებსაც ისინი კორეული მცირე და საშუალო საწარმოებისა და სტარტაპების მხარდაჭერის კუთხით იყენებენ, რაც ადგილობრივ დამწყებ მეწარმეებს განვითარებისა და ახალი პარტნიორების მოძიებაში ეხმარება.

აღინიშნა, რომ კორეული მხარის გამოცდილება ამ მიმართულებით არის განსაკუთრებით საინტერესო საქართველოსთვის. ამიტომ, მინისტრებს შორის მოხდა შეთანხმება, რომ გაფორმდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კორეის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და სტარტაპების სამინისტროს შორის.

შეხვედრის დასასრულ, გიორგი ქობულიამ კორეელი კოლეგა თბილისში აბრეშუმის გზის ფორუმზე მოიწვია, რომელიც 2019 წლის შემოდგომაზე გაიმართება. შეხვედრას ასევე დაესწრნენ საქართველოს ელჩი კორეაში ოთარ ბერძენიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი მიხეილ ხიდურელი.

ერთობლივად ვებრძოლოთ საფინანსო-ეკონომიკურ დანაშაულს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დელეგაცია უფროსის სოსო რამიშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო ვიზიტით იტალიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში სოსო რამიშვილი იტალიის რესპუბლიკის ფინანსური გვარდიის მმართველს, გენერალ ჯორჯიო ტოშის შეხვდა. შეხვედრაზე ხელი მოეწერა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და იტალიის რესპუბლიკის ფინანსურ გვარდიას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობას ითვალისწინებს.

მემორანდუმის ფარგლებში კოლეგა უწყებებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის, ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. როგორც შეხვედრაზე საგამოძიებო სამსახურის

უფროსმა აღნიშნა, იტალიის რესპუბლიკის კოლეგა უწყებასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისია. იტალიის რესპუბლიკის ფინანსური გვარდიის მმართველის, გენერალ ჯორჯიო ტოშის განცხადებით გაფორმებული მემორანდუმი ხელს შეუწყობს არა მარტო უწყებებს შორის თანამშრომლობას, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას. **„აქტიური თანამშრომლობა ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც არის ეკონომიკური და ფინანსური დანაშაული სარგებლის მომტანი იქნება ორივე მხარისთვის“,** – აღნიშნა ჯორჯიო ტოშიმ.

სად „თიბისი ბანკი“ და სად პოლიტიკა!..

„ყველაფერი იქნება გამოძიებული, მათ შორის მთავარი საქმე. ის ძირითადი საქმე, რომელზეც არის საუბარი. ნებისმიერი თანმდევი პროცესი, რომელიც უკავშირდებოდა ამ საქმეს, ყველაფერი იქნება გამოძიებული. ჩვენთვის მთავარია, რომ არ გადავიტანოთ ეს ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში“, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „თიბისი ბანკის“ საქმესთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა. ირაკლი კობახიძის შეფასებით, საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანის უამრავი მცდელობაა.

„მათ შორის, იმ სახით, რომ ოპოზიციამ, მაგალითად, დააინიცირა საგამოძიებო კომისიის შექმნა, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ახლა არის, უფრო სწორად, ახლა არის დაწყებული გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით. ეს არის პოლიტიკური სპეკულაციები. ჩვენ არ უნდა გადავიტანოთ სამართლებრივი საკითხი პოლიტიკურ ჭრილში და ყველას მოვუწოდებ ამისკენ“, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა ოპოზიციის განცხადებასაც იმის შესახებ, რომ ზუგდიდის მე-6 სკოლასთან დაკავშირებით, რეაგირება ანონიმური წერილის საფუძველზე მოხდა.

„საერთოდ არ არის შედარებადი ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან. როდესაც ერთ შემთხვევაში კონკრეტულ უწყებას ევალება ნებისმიერ წერილზე რეაგირება, მათ შორის, ანონიმურზე, ეს არის ერთი შემთხვევა და როდესაც წინასწარ გპირდება კონკრეტული ბიზნესმენი იმას, რომ კომპრომატს გამოაქვეყნებს და ამ დროს ვერ აქვეყნებს კომპრომატს, ეს არის სრულიად სხვა შემთხვევა“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

კვირიკაშვილის პერიოდში „თიბისი ბანკი“ წმინდა ძროხასავით ხელშეუხებელი იყო...

გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში „თიბისი ბანკი“ წმინდა ძროხასავით ხელშეუხებელი იყო – აცხადებს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე და 2016 წელს, მთავრობის მიერ ჩამოწერილ თანხებზე საუბრობს:

„2016 წელს, საინვესტიციო ვალდებულებების 40 მილიონის ჩამოწერა მოხდა. სახელმწიფომ ინვესტორებს შეუსრულებელი საინვესტიციო ვალდებულებები ჩამოაწერა და ამით მათ საშუალება მისცა, ვალდებულებებისგან გათავისუფლებულიყვნენ. როგორც ვიცი, მამუკა ხაზარაძეს 25 მილიონი ჩამოაწერეს, მაგრამ რომელ პროექტთან მიმართებაში, არ ვიცი. მიღებული პრაქტიკა ყოფილა, რომ როცა ინვესტორები თავის ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ, შეუსრულებელ საინვესტიციო ვალდებულებებს აწერდნენ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ყოფილმა თავმჯდომარე ეკა სისაურმა განმიმარტა, რომ თურმე, ქონების მართვის სააგენტოს მიერ დარიცხული ჯარიმა ჩამოწერას არ ექვემდებარებოდა, საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობა კი, ჩამოწერას ექვემდებარებოდა. „თიბისი ბანკი“ წმინდა ძროხასავით ხელშეუხებელი იყო“, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

საელჩოები გვეყოლება არაბეთსა და ვიეტნამში

მიმდინარე წელს საქართველოს საელჩოები გაიხსნება არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ვიეტნამში. ამის საქართველოს შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მამუკა ბახტაძის თქმით, საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის უფრო მეტად ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში და სწორედ ამიტომაც იხსნება საელჩოები აზიისა და არაბეთის რეგიონის ეკონომიკურად აქტიურ ქვეყნებში.

„შეიძლება მეფეების ექსჰუმაცია გახდეს საჭირო“...

ბაგრატიონების საძმე – თბილისის საქალაქო სასამართლო ისტორიული და უპრეცედენტო საქმის განხილვას იწყებს. სასამართლომ შიდა საგვარეულო დავა უნდა გადაწყვიტოს. ტახტს ბაგრატიონ-გრუზინსკები და ბაგრატიონ-მუხრანელები ვერ იყოფენ. ბაგრატიონ-გრუზინსკების ადვოკატი ლევან გორელაშვილი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ცხედრების ექსჰუმაცია გახდეს საჭირო.

„ჩვენ მივმართეთ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხელში მიჭირავს მათი პასუხი, რომლითაც დადასტურებულია, რომ დნმ ანალიზის შედეგად განსაზღვრული მისი ჰაპლოტიპის რომელიმე ჰაპლოჯგუფისადმი მიკუთვნების გზით ნათესაური კავშირის დადგენა არ ხდება. ეს არის ზუსტად ის, რასაც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვამბობდით. იგი გვეპატიჟება მოგზაურობაში, რომლითაც პირთა შორის ნათესაური კავშირის დადგენა არ ხდება, ამიტომ ამ ტიპის ექსპერტიზას სჭირდება, როგორც პეტრე ალექსან-

დრეს ძის ექსჰუმაცია, ისე პეტრე პეტრეს ძის ექსჰუმაცია. მისი ჭორების გამო, იმისთვის, რომ საზოგადოებაში ეჭვები გაჩნდა, სვეტიცხოვლიდან ორ გვამს ეგზჰუმაციაზე ვერ გავუკეთებთ,“ – განაცხადა ნუგზარ და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკების ადვოკატმა ლევან გორელაშვილმა.

უფასო ფაკულტეტები მომავალ წელსაც იქნება

— განაცხადა განათლების მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ. მიხეილ ბატიაშვილის თქმით, მომავალი წლის გაზაფხულზე სამინისტრო უფასო ფაკულტეტების მოდელსა და დაფინანსების საკითხს წარმოადგენს.

„საუბარია უფასო ფაკულტეტების გადახედვაზე და დაფინანსების საჭიროებისამებრ გადანაწილებაზე. წელს არანაირი ცვლილება არ იგეგმება და არც განხორციელდება ამ მიმართულებით. მომავალი წლის გაზაფხულის ბოლოს, რეფორმის დანარჩენ ნაწილთან ერთად კონკრეტულად წარმოგიდგენთ, როგორ შეიცვლება დაფინანსების მოდელი და უფასო ფაკულტეტების მოდელი. წელს ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის. ასევე, ვამბობ, რომ უფასო ფაკულტეტები მომავალ წელსაც იქნება“, — განაცხადა ბატიაშვილმა.

ბათუმში კარბამიდის ტერმინალი აშენდება

კარბამიდის ტერმინალთან დაკავშირებით საჯარო შეხვედრები გაიმართა. როგორც ბათუმის მერიაში განმარტავენ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ქალაქ ბათუმის მერიამ დოკუმენტაცია გადააგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საიდანაც მერიამ მიიღო წერილობითი პასუხი, რომ მსგავსი ტიპის მშენებლობას არ სჭირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რაც ასახულია სკრინინგის ბრძანებაში.

„საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავსი და გაცილებით უფრო მასშტაბური ტერმინალები წარმოდგენილია მსოფლიოს ბევრ ტურისტულ თუ საპორტო ქალაქში. გარდა ამისა, კომპანიამ უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩაატარა პრეზენტაცია, სადაც დეტალურად ისაუბრეს იმ მაღალი ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება ტერმინალის მშენებლობის პროცესში. დასტურდება, რომ კარბამიდის ტერმინალი ქალაქს არ უქმნის არანაირ საფრთხეს.

ამავე დროს, კარბამიდის ტერმინალი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტს, რომელიც სერიოზული ტვირთბრუნვის გარანტორია ბათუმის პორტისათვის. კარბამიდის ტერმინალი აღჭურვილი იქნება მინერალური სასუქების გადატვირთვისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიით და წლის განმავლობაში მილიონ 200 000 ტონამდე სასუქის გადამუშავებასაც შეძლებს. არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია ერთ-ერთი წამყვანი, აშშ-ის პირველ ასეულში მყოფი კომპანიის მინაწილეობა ამ პროექტში. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილება მიღებულია და ტერმინალის მშენებლობაზე ნებართვა გაიცემა“.

ალგეთის ეროვნული პარკის განვითარებისთვის 250 000 ლარი გამოიყო

ალგეთის ეროვნულ პარკში ახალი ეკოტურისტული ატრაქცია — თოკების პარკი მოეწყობა. ამის შესახებ, საგრანტო ხელშეკრულება ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაფორმდა, რომლის თანახმადაც ალგეთის ეროვნული პარკის ეკოტურისტული განვითარებისთვის 250 000 ლარი დაიხარჯება.

„თოკების პარკი“ წარმოადგენს ეკო-საგანმანათლებლო ატრაქციას და გარემოში არსებულ შემეცნებით გასართობ

ადგილს. ეკოტურისტული ობიექტი გათვლილი იქნება სხვადასხვა სეგმენტის ვიზიტორზე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება გარემოს დაცვის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ასევე, ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 250,000 ლარს, საიდანაც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში RDFG-ის მხარდაჭერით მიმდინარე ENPARD პროექტის მიერ განსაზღვრული მიზნობრივი გრანტის ოდენობა წარმოადგენს 150,000 ლარს, ხოლო დარჩენილი 100,000 ლარის გამოყოფა განხორციელდება „კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის პროგრამა — საქართველო“ პროექტის ფარგლებში.

მთავრობამ კომერციული ბანკებისგან 60 მილიონი ლარი ისესხა

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2019 წლის 12 მარტს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 63 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.750 პროცენტით, მაქსიმალური 6.770 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 6.755 პროცენტით განისაზღვრა.

ასევე დღესვე ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გაიყიდა 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 66 050 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.000 პროცენტით, მაქსიმალური 7.030 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.019 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.250 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

დიღომში ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

დიდუბის **რაიონში კიდევ ერთი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა დაიწყო. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ სიმბოლური კაფსულა შენობის საძირკველში თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ კახაბერ გვანცელაძესთან ერთად ჩადო.**

თბილისის მერის განცხადებით, მიმდინარე წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან ბაგა-ბაღების მშენებლობის მიზნით, უპრეცედენტოდ მაღალი თანხა — 50 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„დიღმის მასივში კიდევ ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობა დავიწყეთ. აღნიშნული მიმართულების მოწესრიგება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 2012 წლის შემდეგ, რაც ჩვენი რეფორმის შედეგად საბავშვო ბაგა-ბაღები უფასო გახდა, მოთხოვნა ძალიან გაიზარდა. დღეს თბილისის ბაღებში 60 ათასზე მეტი აღსაზრდელი გვყავს, თუმცა მოთხოვნა ძალიან დიდია და ხშირია შემთხვევა, როცა ამ მოთხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ. შესაბამისად, მიმდინარე და მომდევნო წლების განმავლობაში, დედაქალაქში რამდენიმე ათეული ბაღის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებაა მიღებული. აშენდება ათამდე საბავშვო ბაღი, რამდენიმე ავარიულ ბაღს დემონტაჟი ჩაუტარდება და თავიდან, სტანდარტების დაცვით აშენდება, ხოლო რვა ბაღს რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ასევე, მთლიანად განახლდება სათამაშო მოედნები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნება ევროპული სტანდარტები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება 2019 წლის შემოდგომაზე იგეგმება. პროექტის დასრულების შემდეგ, ბაგა-ბაღით სარგებლობას 300-მდე აღსაზრდელი შეძლებს და 60-მდე ადამიანი დასაქმდება. შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის და უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების სისტემებით.

ჰაერს დააბინძურებ - დაჯარიმდები!

გარემოს **დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების საკითხის დარეგულირების მიზნით ადგენს გარკვეულ სამართალდარღვევებს და მათ შესაბამის სანქციებს.**

კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის **კახა კუჭავას** განმარტებით, კანონპროექტი მომზადდა თბილისის მერიასთან ერთად და ეხება იმ პრობლემას, რომელზეც კომიტეტი თითქმის ერთი წელია, მუშაობს.

— ჩვენ საკომიტეტო მოკვლევა ჩავატარეთ და დავადგინეთ, რომ ტექნიკურად გაუმართავი მანქანების გარდა, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ასევე არის სამშენებლო და ბუნებრივი მტვერი. სამშენებლო მტვერის პრობლემის მიმართულებით თბილისის მერიამ გადადგა ნაბიჯი და მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ჩვენ დავაინიცირეთ. კანონპროექტი ეხება შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გასული სატრანსპორტო საშუალებების და მათი ნაწილების, მარტივად აალებადი, ფეთქებადი და ამტვერებადი მასალების განთავსებასთან, რეალიზაციასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას. კანონპროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის პირველ ივლისამდე უნდა განსაზღვროს წესი, რომლის მიხედვითაც ისინი აკრძალავენ და გააკონტროლებენ ასეთი მასალების შენახვას და განთავსებას, — განაცხადა კახა კუჭავამ.

ერთ-ერთი ცვლილების თანახმად: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორადი საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გასული სატრანსპორტო საშუალებების და მათი ნაწილების, მარტივად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი ნივთის (ნივთიერების) განთავსება ან რეალიზაცია იმ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არ არის განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ — გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით; აღნიშნული დარღვევა ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 2000 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში კი ფიზიკური პირი დაჯარიმდება 2000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი — 6000 ლარის ოდენობით.**

კანონპროექტის თანახმად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება (დაჭრა, დაფქვა, დახერხვა, დაქუცმაცება და სხვა.), რომელიც ვერ უზრუნველყოფს მტვერჩახშობას — გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, — გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.**

კანონპროექტით გათვალისწინებულია ასევე სანქციები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეებში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის გადაუხურავი ან არასათანადოდ გადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვაზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილებას და სხვა.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

„ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘᲐ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“, — ამ სიტყვებთან ერთად **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** 2015 წელს დატოვა პრემიერის პოსტი და ბიძინა ივანიშვილის მადლიერი სიტყვებიც დაიმსახურა, რომ ირაკლი გამარჯვებული წავიდა და არა დამარცხებული, იგი ახალგაზრდა კაცია, უყვარს თავისი სამშობლო და აქვს განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაბრუნდება.

„ქართულ ოცნებას“ ბევრჯერ ჰქონია რთული პერიოდი და ბევრჯერ იყო მოლოდინი იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდებოდა, მაგრამ ღარიბაშვილი არ ჩანდა. დღეს კი გაჩნდა განცდა, რომ უკიდურესი გასაჭირის ჟამს ბიძინა ივანიშვილმა კვლავაც ღარიბაშვილს მოუხმო, რადგან ივანიშვილი სხვებს ვერ ენდობა.

რისი გაკეთება შეუძლია ირაკლი ღარიბაშვილს, ამის შესახებ For.ge-ს ანალიტიკოსი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ესაუბრა.

— ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ დაბრუნდა პოლიტიკაში. ოპოზიციის თვალში ღარიბაშვილის დაბრუნება ადასტურებს, რამდენად ღრმა მორალურ და საკადრო კრიზისშია „ქართული ოცნება“. თქვენთვის რას ადასტურებს ღარიბაშვილის მეორედ მოსვლა პოლიტიკაში?

— „მორალური კრიზისი“ ძალიან ხმამაღალი განცხადებაა. მორალურ კრიზისზე როცა „ნაცმოძრაობა“ ან „ევროპული საქართველო“ საუბრობს, ცოტა სასაცილოა. როცა ასეთი წარსული გაქვს, ხმა არ უნდა ამოიღო, მაგრამ, რასაკვირველია, ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება არ არის კარგი ცხოვრებით გამოწვეული. გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ მაინცდამაინც არ არის რესურსებით განებივრებული და მას დასჭირდა ძველი კადრის უკან გამოხმობა. როგორც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა პარტიაში, ესეც არ იყო კარგი ცხოვრებით გამოწვეული, ასევეა ღარიბაშვილის დაბრუნებაც. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, არ ვფიქრობ, რომ ეს რაიმე გარდატეხას შეიტანს და ვითარება რადიკალურად შეიცვლება.

„ქართულ ოცნებაში“ პროცესი ღრმად წასულია და პოლიტიკური წყალგამყოფიც უკვე აშკარაა, ეს შემდგარი ფაქტია. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ მყარ უმრავლესობას პარლამენტში არ დაკარგავს, მაგრამ ბევრი დეპუტატი დატოვებს გუნდს. რადიკალურ სხვაობას არ ველოდები ამ პოლიტიკურ ლანდშაფტში.

— ირაკლი ღარიბაშვილი როცა მოვიდა პოლიტიკაში და პრემიერი გახდა, მაშინ „ქართული ოცნება“ აღმავლობის ხანაში იყო, ახლა კი „ოცნებისთვის“ დაღმავლობის ხანაა. ღარიბაშვილი უკან მოაბრუნებს დროს?

— ირაკლი ღარიბაშვილი პირდაპირ აღიქმებოდა ივანიშვილის მარჯვენა ხელად. ის იყო ივანიშვილის ნაცვალი, თავის დროზე მეფის ნაცვალი რომ იყო, დაახლოებით ასეთი სტატუსი ჰქონდა მას, იგი უშუალოდ გამოხატავდა ბიძინა ივანიშვილის იდეებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ კურსს. ახლაც დაახლოებით იგივე ვითარებაა, როგორც ჩანს, ივანიშვილი მარტო ვეღარ უმკლავდება იმ ვითარებას, რაც პარტიაშია შექმნილი და გამოცდილი კადრები, მრავალგზის გადამოწმებული, თავიდან ბოლომდე ერთგული კადრები სჭირდება. სწორედ ამ კადრებს ეყრდნობა ივანიშვილი. ჩათვალეთ, „ქართული ოცნების“ ისტორიაში ღარიბაშვილი აღიქმებოდა ივანიშვილთან ყველაზე მეტად დაახლოებულ ფიგურად. თვით ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებამ პოლიტიკაში მაინცდამაინც ვერაფერი უშველა „ოცნებას“, რომელიც ნახევრად დაშლის პირასაა. თუ ბიძინამაც ვერ უშველა, ღარიბაშვილი როგორ შეცვლის პოლიტიკას?

ასე დრამატულად ნუ შევხედავთ მოვლენებს. მე არ ვთვლი, რომ „ოცნება“ დაშლის პირასაა, „ოცნება“ გადის ძალიან რთულ გზას, რომ გადაიქცეს ევროპული ტიპის პარტიად. ეს ამოცანა

დგას, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ეს ასე გამოიყურება. რამდენად გავლის „ოცნება“ ამ გზას, ეს სხვა საკითხია, „ოცნებას“ ძალიან უჭირს, რადგან თვითონ ამ პარტიის შიგნით ურთიერთობები უფრო პიროვნულია, ვიდრე ინსტიტუციური და ლოგიკურია ვივარაუდოთ, ან წარმატებით გაივლის „ოცნება“ ამ გზას, ან წარუმატებლად. 2020 წლის არჩევნებში ბევრი რამ გაირკვევა, პირველ რიგში, გაირკვევა ის, რომ ერთპარტიული მმართველობა უკვე აღარ გვექნება. წინასწარ ძნელია იმის პროგნოზი, 2020-ში რა მოხდება, მაგრამ ფაქტია და ახლა უკვე ჩანს, რომ, მნიშვნელოვანწილად, „ოცნება“ დაკარგავს, დათმობს ძალაუფლებას და ეს ძალაუფლება ოპოზიციაზე გადანაწილდება. ვინ, როგორ, რა პროპორციით, ამას ამომრჩეველი გადაწყვეტს.

— თუკი „ოცნება“ დათმობს ძალაუფლებას, შესაძლოა, „ნაციონალებიც“ დაწინაურდნენ?

— ვერ ვხედავ ასეთ სცენარს. უფრო იმას მოველი, რომ „ოცნება“ იქნება უმრავლესობის ზღვარზე, ან შეინარჩუნებს უმრავლესობას მთავრობის ფორმირებისთვის, ან რომელიმე სხვა ძალასთან ერთად, უწინარესად „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად კოალიციაში მთავრობას მაინც შექმნის. არა მგონია, „ნაცებმა“ დაიბრუნონ ძალაუფლება.

— „პატრიოტთა ალიანსი“ ითხოვს რადიკალიზაციას, ბოკერიას და სხვათა დაჭერას, „ოცნება“ კი უკვე ნეიტრალურია? ამდენად, „ოცნებისთვის“ პრობლემა არ იქნება „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად კოალიციაში ყოფნა?

— რასაკვირველია, ესეც პრობლემა იქნება. „ოცნება“ ორ ცეცხლშუაა: ერთი მხრივ, „პატრიოტთა ალიანსის“ რადიკალიზაცია, მეორე მხრივ, „ნაციონალების“ რევანშის საფრთხე. მთავარი ამოცანა „ოცნებისთვის“ ის არის, რომ ივანიშვილის ქვეშევრდომობიდან გამოვიდეს. ეს არის ივანიშვილის გარშემო პიროვნული ურთიერთობებით შეკრული გუნდი, რაიმე ინსტიტუციური წესრიგი არ კრავს ამ გუნდს, ბესელიასთან კონფლიქტმა ეს ძალიან კარგად აჩვენა. მთავარი ამოცანაა, ეს პოლიტიკური გაერთიანება გაიზარდოს და პარტიად ჩამოყალიბდეს.

— ხუმრობით რომ ითქვას, „ოცნების“ წასვლა „ნაციონალების“ წასვლასთანაც ასოცირდება, რადგან ისინი ისე არიან გადაბმულნი და ისე იყენებენ ერთმანეთის ფაქტორს, რომ ამით იხანგრძლივებენ სიცოცხლეს.

— რა არის, იცით? ცარიელი ადგილი არ არსებობს. „ოცნება“ თუ წავა, მის ადგილს სხვა ვინმე დაიკავებს. თუკი „ოცნება“ წავა ან დაიშლება, არ ჩანს სხვა რაიმე პოლიტიკური ძალა, გარდა „ნაციონალებისა“, რომელიც ამ სივრცეს შეავსებს, მაგრამ „ოცნება“ არსადაც არ წავა.

— ისევ ირაკლი ღარიბაშვილს რომ დავუბრუნდეთ, მის ერთ-ერთ ნაკლად სიხისტეს ასახელებენ.

— იმ პერიოდში კონიუნქტურა მის სიხისტეს ითხოვდა. მე უფრო პირიქით ვიტყოდი, ირაკლი ნაკლებად ხისტი იყო. მართალია, ღარიბაშვილი სიტყვით ხისტი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში პოლიტიკურ პროცესში მოხერხდა ის, რომ რეაბილიტირებულ იქნა „ნაციონალური მოძრაობა“. არადა, მაშინ არსებობდა შანსი, „ნაცმოძრაობა“ საერთოდ გამქარალიყო პოლიტიკური რადარებიდან და მაშინ უფრო გაჯანსაღდებოდა პროცესი, „ნაციონალების“ ადგილს ვინმე დაიკავებდა. ეს არ მოხდა ბევრი მიზეზის გამო, თუნდაც საგარეო, საშინაო მიზეზებიდან გამომდინარე. ღარიბაშვილი უფრო ხისტი იყო, მაგრამ არც კვირიკაშვილი იყო რბილი, გახსოვთ, ალბათ, „კეთილების“ გინება ნიკა მელიას მისამართით.

— ბიძინა ივანიშვილს არ უმართლებდა ღარიბაშვილის შემდგომ პრემიერებში, განსაკუთრებით, გიორგი კვირიკაშვილში. საინტერესოა, ივანიშვილი ყოველმხრივ ერთგულ და მადლიერ ირაკლი ღარიბაშვილს რატომ შეელია?

— ესეც რთული საკითხია, მაგალითად, ჩემთვის დღემდე გაუგებარია ღარიბაშვილი რატომ წავიდა პოლიტიკიდან, კარგად ვერც მაშინ ვერ გავიგე და ახლაც ვერ გავიგე. მე ზუსტად ვიცი, რომ ღარიბაშვილი იყო ბიძინას სახე, ის არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა ბიძინას გარეშე. კვირიკაშვილს უფრო მეტი დამოუკიდებლობის ხარისხი ჰქონდა, ვიდრე ღარიბაშვილს, შეიძლება, ღარიბაშვილის წასვლის მიზეზი ესეც იყო.

— ანუ ბიძინა ივანიშვილს სურდა, რომ უფრო მეტი დამოუკიდებლობა ჰქონოდა ღარიბაშვილს, რაც ვერ ხერხდებოდა, რადგან ირაკლი ღარიბაშვილი მიბმული იყო ივანიშვილთან?

— რასაკვირველია, ბიძინას სურდა, მისგან რაც შეიძლება დისტანცირებული ყოფილიყო პოლიტიკა და, რადგან ღარიბაშვილი მასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, ამიტომაც გაუშვა, მაგრამ ეს არ გამოვიდა და, რადგან დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, დაბრუნა ღარიბაშვილიც. ეს ტოვებს შთაბეჭილებას, რომ ღარიბაშვილი მომავალში პრემიერად დაბრუნდება.

— კულუარულად, გახარიაზე იყო საუბარი პრემიერის ამპლუაში...

— გახარია ახლა ისეთ დღეშია, ხაზარაძის საქმიდან გამომდინარე ახლა ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ ბიძინას შემდეგ გახარია გახდა მთავარი სამიზნე.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲓ ᲘᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პრესსპიკერის ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, შეწყალების უფლება პრეზიდენტის დისკრეციაა და რა ფორმით ან სად იარსებებს კომისია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს:

„შეწყალების უფლება საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციაა და შესაბამისად, გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე იღებს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი. რა ფორმით და სად იარსებებს და იფუნქციონირებს შეწყალების კომისია, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ახალი კონცეფციის თანახმად, პრეზიდენტის ინიციატივით იუსტიციის სამინისტროს ქვეშ იმუშავებს შეწყალების კომისია, თუმცა იქნება სრულიად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების, ვგულისხმობ, რეკომენდაციების მომზადების პროცესში. პრეზიდენტმა საახალწლოდ შეიწყალა სამი მსჯავრდებული და რაც შეეხება სააღდგომოდ შეწყალების აქტის განხორციელებას, გამორიცხული არაფერია, ნუ გავასწრებთ მოვლენებს“, — აღნიშნა მოისწრაფიშვილმა.

დღე საქართველოს სრულწლოვნებისა!

100 წლის წინ, 1919 წლის 12 მარტს, 12.12 სთ-ზე გაიხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, რომლის ამსახველი ფოტოები და სხვა სახის დოკუმენტური მასალა საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება.

საქართველოს დამფუძნებელი კრება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო ორგანოა, რომელმაც 1919 წლის 14-16 თებერვალს გამართული პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე შეცვალა საქართველოს ეროვნული საბჭო.

დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა დამსწრეთა შორის უხუცესი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, 60 წლის **სილიბისტრო ჯიბლაძე,** მდივნობდა კრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 24 წლის **გოგიტა ფაღავა**.

სილიბისტრო ჯიბლაძემ წარმოთქვა პირველი სიტყვა და „12 მარტს“ უწოდა „დიდი დღე, დღე ჩვენი ხალხის დავაჟკაცებისა, მისი სრულწლოვნებისა!“

საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლის, ისტორიკოს **დიმიტრი სილაქაძის** თქმით, შთამბეჭდავი და სიმბოლოებით დატვირთული იყო სილიბისტრო ჯაბლაძის სიტყვა. სხდომის თავმჯდომარე საგანგებოდ მიესალმა დარბაზში მყოფ უცხოეთის ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელს:

> **„სალამი დიდ ბრიტანეთს, ამ აკვანს დემოკრატიისას!**
>
> **ნება მიბოძეთ, მივესალმო საფრანგეთს, სამშობლოს რევოლუციისას!**
>
> **ნება მიბოძეთ, მივესალმო ამერიკის ბუმბერაზ შეერთებულ შტატებს, სამშობლოს თავისუფლებისას!**
>
> **მივესალმო პატარა შვეიცარიას – ყველა დევნილთა მფარველს!**
>
> **მე მწამს, მე მჯერა, რომ დიდი და მაღალი კულტურა ამ კულტურულ სახელმწიფოებისა მოჰფენს თავის ძლევამოსილს სხივს ჩვენ ნორჩსა და პატარა რესპუბლიკასაც“.**

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს **კარლო ჩხეიძე,** მის მოადგილედ („უფროსი ამხანაგი“) კი **ალექსანდრე ლომთათიძე**. იმის გამო, რომ ამ დროს კარლო ჩხეიძე პარიზში იმყოფებოდა, სიტყვა წარმოთქვა ალექსანდრე ლომთათიძემ, რომელმაც მთელი კაცობრიობის გასაგონად განაცხადა:

> **„გვინდა, აზია დავტოვოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ და, ჩვენი ძალით და სხვისი დახმარებითაც, თუ ეს დახმარება ვისმესგან გველირსება, გავხდეთ სწორუფლებიანი წევრი ევროპიულ ხალხებთან, ევროპიულ დემოკრატიათა და მათ სახელმწიფოთა საერთო ოჯახისა. ჩვენ გვინდა, რომ ეს გაიგოს ყველამ და გაუწიოს მას ანგარიში“.**

დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

საქართველოს დამფუძნებელი კრება – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ - თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ., ტფილისში გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აქტს, რომელსაც ჯერ ხმამაღლა კითხულობს ალექსანდრე ლომთათიძე, შემდეგ კი იწვევს, დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს ხელი მოაწერონ „დიდებულ აქტს“. პირველობა მთავრობის მეთაურს **ნოე ჟორდანიას** ერგო.

პროპორციული სისტემით არჩეული დამფუძნებელი კრება შედგებოდა 130 დეპუტატისგან, რომელთა შორის 109 სოციალ-დემოკრატული პარტიის წევრი იყო.

დამფუძნებელი კრება საქმიანობდა 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 18 მარტამდე.

კრების წევრის ხელფასი იყო ჯერ 1500, შემდგომ 2500 მანეთი. დეპუტატს ჰქონდა რკინიგზით უფასოდ მგზავრობის უფლება. დამფუძნებელი კრების წევრობა შეთავსებადი იყო მინისტრის, ელჩის, სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობასთან, სახალხო გვარდიის შტაბის წევრობასა და უნივერსიტეტის პროფესორობასთან, მხოლოდ ერთი ხელფასის მიღების უფლებით.

დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც 17 თავისა და 149 მუხლისგან შედგებოდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე.დიმიტრი სილაქაძის თქმით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დამფუძნებელ კრებას არც ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ მოუხსნია. ბოლშევიკების მოთხოვნაზე კაპიტულაცია გამოეცხადებინა, კრებამ უარი განაცხადა.

17 მარტს ბათუმში გამართულ სხდომაზე ნოე ჟორდანიასა და საქართველოს მთავრობას („მცირე პრეზიდიუმს“) დაევალა ემიგრაციაში მოღვაწეობის გაგრძელება.

საქართველოში დარჩა დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 108, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სხვადასხვა დროს, სიკვდილით დასაჯა საბჭოთა რეჟიმმა.

საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირავენ თავს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის – 12 მარტის – მთავარი მოქმედი პირები: გოგიტა ფაღავა, სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე და კარლო ჩხეიძე.

სილიბისტრო ჯიბლაძე 1921 წლის 13 ივლისს დააპატიმრეს ნაძალადევის კლუბში გამართულ შეხვედრაზე სტალინის მოხსენებისთვის შეპასუხების გამო. 1921 წლის შემოდგომაზე გაათავისუფლეს ციხიდან ავადმყოფობის გამო. გათავისუფლებისთანავე დაუბრუნდა იატაკქვეშა საქმიანობას. 1922 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა გულის უკმარისობით კონსპირაციულ ბინაში. ჩეკამ მისი ცხედარი გაიტაცა და გასაიდუმლოებულ ვითარებაში დაასაფლავა ვერის სასაფლაოზე.

გოგიტა ფაღავა 1922 წლიდან იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. 1924 წელს დახვრიტეს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან ეტაპით გადაყვანისას გაურკვეველ სადგურზე. დასაფლავების ადგილი უცნობია.

ალექსანდრე ლომთათიძე 1923 წლის 20 მარტს ეტაპით გაგზავნეს სუზდალის პოლიტიზოლატორში, საიდანაც გადაასახლეს ჯერ მარიის ავტონომიურ ოლქში, შემდეგ ჩუვაშეთის ავტონომიურ ოლქში, საიდანაც მძიმე ავადმყოფობის გამო მისცეს საშუალება, ტაშკენტში გადასულიყო საცხოვრებლად. 1924 წელს საქართველოში მომხდარი აჯანყების გამო კვლავ დააპატიმრეს და მოათავსეს ტაშკენტის ციხეში, სადაც გარდაიცვალა 42 წლის ასაკში. დაკრძალეს იქვე, ტაშკენტში, ქრისტიანთა სასაფლაოზე.

კარლო ჩხეიძემ 1926 წლის 9 ივნისს პურის საჭრელი დანით მიიყენა სასიკვდილო ჭრილობა. გარდაიცვალა ოთხი დღის შემდეგ საავადმყოფოში. დაკრძალულია პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

ქაშუეთში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა

ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

პანაშვიდს, რომელიც პატრიარქის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, მეუფე შიო მუჯირმა აღავლინა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვოლსკი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში და პარლამენტის წევრები, ასევე, დამფუძნებელი კრების წევრთა შთამომავლები დაესწრნენ. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, დამფუძნებელმა კრებამ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაუტოვა ჩვენს ქვეყანას და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართული პარლამენტარიზმი სწორედ ამ მემკვიდრეობას დაეფუძნა.

„დღეს არის მნიშვნელოვანი დღე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ დღეს, 100 წლის წინ, შედგა ჩვენი პირველი პარლამენტის, დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა და ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ პარლამენტარიზმს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაშინ შეიქმნა პარლამენტარიზმის ტრადიცია და იმ პარლამენტმა ძალიან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაუტოვა საქართველოს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 90-იანი წლებში სწორედ ამ მემკვიდრეობას დაეფუძნა ჩვენი პარლამენტარიზმი. დამფუძნებელი კრების, პარლამენტის წევრები იყვნენ უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. ეს არის ძალიან ძვირფასი მემკვიდრეობა თითოეული ჩვენგანისთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„დამფუძნებელი კრება, რომელიც 100 წლის წინ, ზუსტად 12 საათზე შეიკრიბა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, ურთიერთობები საკმაოდ დაძაბული იყო, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ჰქონდა - იყო მაღალინტელექტუალური და ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული. როდესაც გაჭირდა და სამშობლომ ხალხს ბრძოლის ველზე მოუხმო, მტრის წინააღმდეგ ყველა მხარდამხარ იბრძოდა. იმ პერიოდში 400-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი მიიღეს, საქართველოში გაიხსნა 1200-ზე მეტი სასწავლო დაწესებულება და კულტურის, მეცნიერების, თუ სხვა სფეროებში, უამრავმა ადამიანმა გამოიჩინა თავი. საქართველოს დამფუძნებელი კრება იყო ერთიანობის, სიყვარულის, თანადგომის და თუნდაც, დაპირისპირების, მაგრამ ჯანსაღი დაპირისპირების სიმბოლო“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ.

ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ და ჟიული შარტავას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი, გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელა და თეატრის მსახიობები. საღამოზე ასევე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმის „ჩვენი დროის გმირი“ ფრაგმენტები, რომელშიც ასახულია აფხაზი სეპარატისტების ტყვეობაში მყოფი ჟიული შარტავას და მისი თანამებრძოლების სიცოცხლის უკანასკნელი კადრები.

საღამოზე ჟიული შარტავას ოჯახს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ზურაბ ხონელიძის ინიციატივით დაწესებული სპეციალური ჯილდო მედალიონის სახით, წარწერით „სოხუმელი“ გადაეცა. ჟიული შარტავას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს დამდგმელი რეჟისორი იყო საქართველოს სახალხო არტისტი გოგი ქავთარაძე.



ნოდარ მეძმარიაშვილი – აღმშენებლად დაბადებული

მადლიერი შთამომავლობა უდიდეს პატივს მიაგებს გამოჩენილ ქართველ მშენებელს, სამშენებლო საქმის დიდ პროფესიონალს, უღალატო მეგობარს, განათლებულ მამულიშვილს **ნოდარ მეძმარიაშვილს** დაბადებიდან 90-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1929 წლის 13 მარტს იმერეთის ლამაზ კუთხეში სამტრედიაში აკაკი მეძმარიაშვილის ოჯახში დაიბადა ვაჟიშვილი, რომელსაც ნოდარი დაარქვეს. მან საშუალო სკოლა სიბეჯითეში განვლო. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. საინჟინრო განათლების ამ დიდ ტაძარში ეზიარა იგი ინჟინერ-მშენებლის ურთულეს და ქვეყნისთვის მეტად საჭირო დარგს. 1951 წელს უმაღლესი სასწავლებელი შახტმშენებლობის სპეციალობით დაამთავრა და როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, კათედრაზე დატოვეს ასისტენტის თანამდებობაზე სამუშაოდ. ეს მისი პირველი სერიოზული გამარჯვება იყო. თუმცა კათედრაზე მუშაობას შახტების მშენებლობაზე პრაქტიკული მოღვაწეობა ამჯობინა და 1951 წელს შრომითი საქმიანობა დონბასში შახტის მშენებლობაზე დაიწყო, სადაც 1959 წლამდე გაიარა პროფესიული გზა სამთო ოსტატიდან შახტსამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინრის თანამდებობამდე.

1959 წელს ნ. მეძმარიაშვილი გადაიყვანეს დონეცკის ოლქის სამოქალაქო მშენებლობის სფეროში – საოლქო სამშენებლო გაერთიანების, „დონეცკბინათმშენის“ მთავარ ინჟინრად, ხოლო 1966 წელს დააწინაურეს და დანიშნეს გაერთიანება „დონეცკბინათმშენის“ უფროსად.

ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა მთელი ოლქის საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და სამოქალაქო მშენებლობის სფეროს.

1973 წელს უკვე გამოცდილი მშენებელი მშობლიურ საქართველოში გადმოჰყავთ, სადაც 1981 წლამდე ნაყოფიერად იმუშავა მშენებლობის მინისტრად. ხოლო 1981-82 წლებში იგი მუშაობდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1985 წელს იგი დაინიშნა საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად სსრკ მინისტრთა საბჭოში. მოსკოვში, ამ თანამდებობაზე მოღვაწეობისას კოლოსალურ სამუშაოს წარმართავდა საქართველოს პრობლემების დადებითად გადასაწყვეტად. ეს წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის XX საუკუნის დამამთავრებელი ბობოქარი წლები იყო, რაც ისეთი თანამდებობის პიროვნებისთვის, როგორიც ნ. მეძმარიაშვილი გახლდათ, მისგან დიდ გამოცდილებასა და რკინისებურ ნებისყოფას მოითხოვდა.

1991 წელს ნ. მეძმარიაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაინიშნა სსრკ მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მთავრობის მუდმივ წარმომადგენლად, რომელიც გარდაიქმნა საქართველოს საელჩოდ რუსეთში და ის გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. ჭეშმარიტად ნიჭიერი და პრაქტიკული ადამიანის სიბრძნე გამოავლინა ამ წლებში ნოდარ მეძმარიაშვილმა, როგორც დიპლომატმა.

1991- 1994 წ.წ. მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილედ; იყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი ინვესტიციების მოზიდვისა და მათი ათვისების საკითხებში.

ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია 1992 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის დამფუძნებელთა ჯგუფში მონაწილეობა. იგი განსაკუთრებული აქტივობით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი საინჟინრო სამეცნიერო საზოგადოების დაფუძნების პროცესში, როგორც აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და სამშენებლო განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივანი.

ბატონი ნოდარი ღირსეულად ატარებს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის – აკადემიკოსის მაღალ წოდებას.

1994 წლიდან მუშაობდა ქ. მოსკოვის მთავრობაში, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რეგიონის განვითარების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ.

1999 წელს სამუშაოდ გადავიდა ახლად ჩამოყალიბებულ რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდში გენერალური დირექტორის მოადგილედ; 2003 წელს დაინიშნა ფონდის გენერალურ დირექტორად, სადაც მუშაობდა 2012 წლამდე;

ნოდარ მეძმარიაშვილი ცნობილი სპორტული ფუნქციონერია: 1966-1973 წლებში იგი იყო დონბასის ოლქის ჩოგბურთის ფედერაციის პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1973-82 წლებში არჩეული იქნა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ. მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული დონბასსა და საქართველოში ჩოგბურთის კომპლექსური ახალი ბაზების შექმნა; პირველი დახურული კორტების მშენებლობა თბილისში, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის საავარჯიშო ბაზის შექმნა ქ. თელავში; 1979 წელს იყო ესპანეთში დევისის თასის გათამაშების მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის უფროსი.

ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს მკერდს უმშვენებს ოთხი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის, დამოუკიდებელი საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის) სამთავრობო ჯილდოები: იგი არის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი.

მრავალი სამთავრობო ჯილდო და წოდება აქვს მიღებული ბატონ ნოდარს საქართველოში. 1984 წელს მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, შემდგომ იგი გახდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ღირსების ორდენისა და ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი.

საზოგადოებამ აღიარა, რომ ბატონი ნოდარი მოწოდებით აღმშენებელ ადამიანად არის დაბადებული. წარმოუდგენლად ბევრია ნოდარ მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით აშენებული ობიექტები, რომლებიც მშობლიურ საქართველოში, რუსეთის სივრცეში, უკრაინაში და სხვა ადგილას დღესაც მტკიცედ დგანან და ამშვენებენ ქვეყნიერებას.

ბატონმა ნოდარმა შეძლო, შეევსო თავისი ინტელექტი და ცოდნა გარდა მშენებლობის რთული პროფესიისა ლიტერატურის, მუსიკის, ისტორიის, თეატრისა და სხვათა სიყვარულით თუ გატაცებით და საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო, როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება.

ათეული წლების განმავლობაში აყალიბებდა ბატონი ნოდარი თავის დიდ სამეგობროს რომლის ნავსაყუდელი მისი დიდებული ოჯახია, აქ თავს იყრიდნენ მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების, სპორტის და სხვადასხვა დარგის ბრწყინვალე ვარსკვლავები. ბატონმა ნოდარმა მისთვის ბოძებული სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა ერთგული მამულიშვილის და მართალი კაცის მაღალი ღირსებები. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა რომ ადამიანს იმაზე უფრო დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით, კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და მის ხალხს.

ბატონი ნოდარი უაღრესად კაცთმოყვარე პიროვნებაა. საკმარისია, მისი მოგონებები წაიკითხო და დარწმუნდე, თუ რაოდენ მაშტაბურია მისი კაცთმოყვარეობის სივრცე. ქართულმა სიდარბაისლემ, სულიერმა სისპეტაკემ, ადამიანურმა სიბრძნემ, ხელმძღვანელობის იშვიათმა უნარმა, ფენომენალურმა მეხსიერებამ, გულწრფელმა თავმდაბლობამ და საქმისადმი ერთგულებამ ბატონ ნოდარს საზოგადოებაში ჭეშმარიტი პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ულოცავს გამოჩენილ ქართველ ინჟინერს, მშენებელს, ღირსეულ მოქალაქეს, კოლეგას და უღალატო მეგობარს, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს სახელოვან იუბილეს და უსურვებს ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას.

არჩილ ფრანგიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი;

აკადემიკოსები:
რ. არველაძე,
გ. აბდუშელიშვილი,
გ. ჯავახაძე,
ი. გორგიძე,
მ. მაცაბერიძე,
ზ. გასიტაშვილი,
დ. გურგენიძე,
მ. ზაკუტაშვილი,
ლ. კლიმიაშვილი,
შ. ნაჭყებია.

დაუზოგავი შრომა და ფიქრები, ისტორიული ქარტეხილები და გამარჯვებები...

ასეთია საქართველოს სახელმწიფო მოღვაწის, გამოჩენილი და დამსახურებული ინჟინერ-მშენებლის **ნოდარ მეძმარიაშვილის** 90 წლისთავი.

მეტად საამაყო ასაკია, მით უმეტეს, როდესაც ჩვეული ენთუზიაზმით ისევ აქტიურად ჩართული ხარ იმდაგვარ დარგობრივ თემებში, რომელსაც დაუღალავად და შეუპოვრად მრავალი ათეული წელი მიუძღვენი.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ნოდარ მეძმარიაშვილის ახლახან გამოცემულ მეტად საინტერესო ავტობიოგრაფიულ წიგნს „ოქროს აკვანი მოწამეთში“, რომ ზემოთქმულში დარწმუნდეთ.

ნოდარ მეძმარიაშვილი – მან, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა ქალაქ დონეცკში დაიწყო. მისი თაოსნობით აშენდა ყველა მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, სკოლა თუ საბავშვო ბაღი და რაც მთავარია – საცხოვრებელი კორპუსები მწვანე ყვავილნარი გაზონებით, რომელსაც დონეცკში, დღესაც – „ნოდარის ხელწერას“ უწოდებენ და ამაყობენ სტეპში გაშენებული, ბაღნარად ქცეული ქალაქით.

ამ დიდი დამსახურებისა და სიყვარულის ნიშნად მას **„ლეგენდარული მეძმარიაშვილი“** შეარქვეს.

იგი, ჯერ კიდევ 30 წლისა, დონეცკის სამშენებლო გაერთიანების ხელმძღვანელი გახდა.

წინა საუკუნის 70-იან წლებში – საქართველოს მშენებლობის მინისტრმა ჩვენს ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო, სამეურნეო თუ საზოგადო დანიშნულების ობიექტი ააშენა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

80-იან წლებში, ისტორიული ქარცეცხლის დროს, ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობის დროს – საქართველოს მთავრობის მუდმივი წარმომადგენელი იყო, ხოლო 1991 წელს – დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი რუსეთში.

განსაკუთრებულად ალამაზებს ბატონი ნოდარის იუბილეს ერთი ფაქტორი:

ძმები მეძმარიაშვილები – ნოდარი და ლერი, საოცარნი და განუყრელნი, ასეთ ერთობლიობაში აღვიქვამთ მათი მეგობარი არქიტექტორები.

ერთი ოჯახის ორი ნათელი წერტილი, ღვაწლმოსილნი და უდავოდ გამორჩეული – ორი **„აღმშენებელი“**.

ამდაგვარი აღმატებულობითა და უდიდესი პატივით ვუერთდებით ჩვენც – ქართველი არქიტექტორები ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილის 90 წლისთავს, რომელიც ა. წ. 13 მარტს უსრულდება. ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლესა და შემართებას.

ქართველ არქიტექტორთა ამქარის სახელით
დავით აბულაძე,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე.

თავისი მარკოზი, თავისი იოანე

თამარ ჩიხლაძეს ესაუბრება
როსტომ ჩხეიძე

მიმავდევნოთ მზერა იმ წიგნებსა და ლიტერატურულ თავყრილობებსაც, რომლებიც ავსებენ ნინო ვახანიას სამოგზაურო რომანის საგანმანათლებლო მხარეს: ელგუჯა თავბერიძის პოლიტიკური პამფლეტი თადა აშორდიაზე („თოვლი მკათათვეში“), გურამ ბათიაშვილის რომანი „ელიგულა და ხავა“ (წიგნში ამ ეპიკურ თხზულებასთან ერთად რამდენიმე მოთხრობაც რომ არის შეტანილი), ზაალ სამადაშვილის ნოველებისა და მინიატიურების კრებულები („60“ და „კალამს მიდევნებით დაწერილი“), ელგუჯა მარღიას რობაიები, ნატა ვარადას პოეტური კრებული „გამრავლების ტაბულა“, გიზო თავაძის მოთხრობების ინსცენირებით დადგმული სპექტაკლი ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე „ინტერვიუ ფესვებთან“, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ვახტანგ ჭელიძისა და თამაზ ბიბილურის ხსოვნის საღამოები, კონცერტები თუ თეატრალიზებული წარმოდგენა ლურჯ მონასტერთან არსებული ბავშვთა ანსამბლისა „ამერ-იმერი“ — გიგი გარაყანიძის ხელმძღვანელობით.

საგანგებოდ უნდა გავიხსენო მოგზაურობა მარტვილში, სალხინოსა და ხობში, და იქ, ხობის მონასტერში ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის ნათესაობის პავლე ინგოროყვასეულ ვერსიაზე საუბარი.

— სიამოვნებით გადავავლებ თვალს ამ სამოგზაურო რომანის ქარგის შემადგენელ თქვენს იმ წიგნებს, რომელთა კვალზედაც გიწევდათ კალმასობა საქართველოს გზა-ბილიკებზე: ბიოგრაფიული რომანები ალექსანდრე ბატონიშვილზე („მზის რაინდი“), სოლომონ დოდაშვილზე („მისიონერი“), ვაჟა-ფშაველაზე („დევების სტუმარი“), შიო არაგვისპირელზე („მზე და მწუხრი“), გალაკტიონ ტაბიძესა („კომიკოსი ტრაგედიაში“) და ზვიად გამსახურდიაზე („ეკლის გვირგვინი“); პიესები — იაკობ გოგებაშვილსა („იის სურნელი თოვლში“) და მიხეილ ჯავახიშვილზე („ბედი-მდევარი“), ისტორიული ცდა „სიმართლე გიორგი სააკაძეზე“; ბიოგრაფიული ნატეხები ავქსენტი ცაგარელზე („და სიყვარულის ასე მოთმენა“), ირაკლი წერეთელსა („რეკვიემი სინანულისა“) და ვლადიმერ ჟვანიაზე („მარტოხელა მგელი და გედის ნისლეული“); მონოგრაფია-პროსპექტი „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“; მინიატიურების კრებული „მზის საფეხურები“, პაატა ჩხეიძესთან ერთად თარგმნილი ტომას სტერნზ ელიოტის ესეების კრებული „საღვთო ტყე“, აგრეთვე საჯარო ლექციები ულუ დავითსა და ილია ჭავჭავაძეზე.

— და მივადევნოთ მზერა იმ წიგნებსა და ლიტერატურულ თავყრილობებსაც, რომლებიც ავსებენ ნინო ვახანიას სამოგზაურო რომანის საგანმანათლებლო მხარეს: ელგუჯა თავბერიძის პოლიტიკური პამფლეტი თადა აშორდიაზე („თოვლი მკათათვეში“), გურამ ბათიაშვილის რომანი „ელიგულა და ხავა“ (წიგნში ამ ეპიკურ თხზულებასთან ერთად რამდენიმე მოთხრობაც რომ არის შეტანილი), ზაალ სამადაშვილის ნოველებისა და მინიატიურების კრებულები („60“ და „კალამს მიდევნებით დაწერილი“), ელგუჯა მარღიას რობაიები, ნატა ვარადას პოეტური კრებული „გამრავლების ტაბულა“, გიზო თავაძის მოთხრობების ინსცენირებით დადგმული სპექტაკლი ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე „ინტერვიუ ფესვებთან“, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, გაბრიელ ჯაბუშანურის, ვახტანგ ჭელიძისა და თამაზ ბიბილურის ხსოვნის საღამოები, კონცერტები თუ თეატრალიზებული წარმოდგენა ლურჯ მონასტერთან არსებული ბავშვთა ანსამბლისა „ამერ-იმერი“ — გიგი გარაყანიძის ხელმძღვანელობით.

საგანგებოდ უნდა გავიხსენო მოგზაურობა მარტვილში, სალხინოსა და ხობში, და იქ, ხობის მონასტერში ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთველის ნათესაობის პავლე ინგოროყვასეულ ვერსიაზე საუბარი. ამ მოგზაურობის თაოსანი გახლდათ ლია კუხიანიძე, რომელიც თავის მოსწავლეებთან — ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის ახალგაზრდობასთან — და პედაგოგებთან ერთად თავგამოდებული მონაწილეა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების არაერთი წამოწყებისა და მათ შორის კალმასობათა ციკლისაც.

— რა კოლორიტული სახეები იკვეთება ნამდვილი მკითხველებისა... თითოეული განსჯიდან და შეფასებებიდან კანთიელად ცნაურდება მათი პიროვნული ხასიათი, განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომელნიც ერთი ეპიზოდიდან მეორეში გადადიან. ყველაზე მეტად მაინც ელგუჯა თავბერიძე.

— თქვენ სხვა თქვით, ლია კუხიანიძე, გიზო თავაძე, გია ხოფერია, ნესტან ფიფია, ლაშა გვასალია, იოსებ ჭუმბურიძე, თორემ ელგუჯა ჩემზე ნაკლებად არა ტრიალებს ამ სამოგზაურო რომანის ფურცლებზე, მართლაც რომ კულტურის ციტადელის შემქმნელი თავის მეუღლესთან — ციცინო მუმლაძესთან — ერთად ქუთაისშიც და დასავლეთ საქართველოშიც.

— დასავლეთში იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველო თქვენი საუფლოა, არა?

— დავიჩემე და ეგ არის.

— წიგნის ანოტაციაში ნინო ვახანია ამასაც აღნიშნავს: ჩემ გარეშე გამართული კიდევ ბევრი საინტერესო საღამო „თავის მარკოზს ან იოანეს“ დაელოდება. მე ვწერ იმას, რაც მინახავს და გამიგონიაო.

— წინწკლებში ჩასმული სიტყვების ნიკო ლორთქიფანიძისეულობას ადვილად ამოიცნობს ყოველი პროფესიონალი მკითხველი. მოგეხსენებათ ეს იმ ნოველის — „თავსაფრიანი დედაკაცი“ — მინაწერიდანაა, რომელსაც ხან რატომღაც შეკვეცილად ბეჭდავენ და ეს ფრიად ღირებული სტრიქონები ამოვარდნილია ხოლმე. არადა აუცილებელია, ისევე, როგორც ნოველის დამაგვირგვინებელი ფრაზა, აფორიზმივით რომ გაისმის: დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო, — რომელიც დროდადრო ასევე განწირულია წასაშლელად.

— ფრიად ღირებულად მოიხსენიეთ.

— სხვაგვარად როგორ განსაზღვრავ, როდესაც ეს პასაჟი ერთ ნოველად ღირს:

„ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე“.

სწორად თუ წავიკითხავთ ამ სტრიქონებს, გათვალსაჩინოვდება ყოველი ადამიანის დიდებულება — ყველა ხომ ცალკე სამყაროს წარმოადგენს და თითოეული პერსონის დაფასება უნდა შეგვეძლოს იმისდა მიუხედავად, გარეგნულად თვალისმომჭრელად მოჩანს თუ არა მათი დამსახურება.

და კიდევ:

ყველა ადამიანის ბიოგრაფიას, რაც უნდა ნაკლებმნიშვნელოვანი გვეჩვენებოდეს, შეიძლება გამოუჩნდეს თავისი აღმწერი, თავისი მარკოზი ან იოანე.



— ყველა ადამიანის ბიოგრაფიასაც და ყველა გუნდის ბიოგრაფიასაც, რელიგიური იქნება, პოლიტიკური, ლიტერატურული თუ სხვა ინტერესებისა.

— ცხადია, რადგანაც ეს ერთი და იგივეა.

— ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას თავისი იოანე უკვე გამოუჩნდა: ვგულისხმობ ივანე ამირხანაშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს „თეთრი ჯვრის ხეობა“.

— ისიც სწორედ სამოგზაურო რომანის ყაიდის თხზულებაა.

— თუმც იქ არსად აღნიშნულა ეს ჟანრობრივი თავისებურება.

— არ უნდა გამოგვრჩენოდა არც ავტორს და არც რედაქტორს. თუმცა გამოსწორება ყოველთვისაც შეიძლება. სხვათა შორის, ის წიგნი ხელახალ გამოცემას მოელის, მისი გამოსვლის შემდეგ ავტორმა არაერთი ისეთი დოკუმენტური ნოველა დაუმატა, ძალდაუტანებლად რომ მოთავსდება „თეთრი ჯვრის ხეობის“ კომპოზიციურ ჩარჩოში.

— გამოცემას სხვა წიგნებიც მოელის, მხატვრულ-დოკუმენტური აღნაგობისანი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების საგანმანათლებლო-კულტურული მოღვაწეობის თუნდ ამ მხარეს მთელი სისრულით რომ წარმოაჩენენ. არც ის რეპორტაჟები, უმეტესწილად კი დოკუმენტური ნოველები, არ უნდა რჩებოდეს მიმოფანტულად ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე. მაია ჯალიაშვილის, ეკა ბუჯიაშვილის, იოსებ ჭუმბურიძის მიერ შემონახული ეპიზოდები ცალ-ცალკე წიგნებს შეადგენენ, აღარაფერს ვამბობ სხვა ლიტერატორთა თუ ჟურნალისტთა მონათხრობზე, ერთ წიგნად ისინიც რომ შეიკვრებიან.

— მართალი ბრძანდები, ეს ყოველივე, და კიდევ სხვა ასპექტებიც, კარგა ხანია, შესაფერისად უნდა დაბინავებულიყო წიგნების გარეკანშიც. და თუ ყველაფერს ვეღარ გავწვდებით, ყოველ შემთხვევაში — დროულად, ზოგიერთი წიგნი მართლაც უნდა მალევე შეიკრას: კრიტიკული და დოკუმენტური პროზის მონაპოვარი.

— ნიკო ლორთქიფანიძე რომ გავიხსენეთ, ბარემ ითქვას ისიც, მის სახლ-მუზეუმში გამართულ თავყრილობასაც, სოფელ ჩუნეშში, დოკუმენტური ნოველა რომ ეძღვნება ნინო ვახანიას წიგნში: „თუნდაც ცა ფეხად ჩამოდიოდეს“.

— ამ სახლ-კარს რამდენჯერმე ავაკითხეთ ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, და ერთ-ერთი მიზანი ისიც გვქონდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობის ყურადღება მიგვექცია ამ სამოსახლოსთვის — არ შეიძლებოდა კვლავაც სარემონტო დარჩენილიყო იქაურობა და გაბზარულ-დახეთქილი ჭერიდან წვიმა ჩამოსულიყო.

— გამოიღო შედეგი თქვენმა მცდელობამ?

— გამოიღო, როგორ არა, რაღაც-რაღაცები შეკეთდა, თუმცა მეტი პატრონობა რომ ესაჭიროება ხელისუფლების მხრიდან ამ და სხვა სახლ-მუზეუმებსაც, ესეც აშკარაა და დროულადაც მოსასწრებ-მოსაგვარებელი ყველაფერი.

— ივანე ამირხანაშვილის სამოგზაურო რომანის ხელმეორე გამოცემაზე რომ ბრძანეთ, საფიქრებელია, რომ ნინო ვახანიას „იადან ციისარტყელამდეც“ უფრო შევსებული სახით გამოჩნდეს წლების შემდგომ. და მაშინაც ასევე ჩინებულად გაფორმებული, როგორც ამ წიგნს ამშვენებს გარეკანზე დალი მუხაძის ნახატი.

— ეს იმ სტრუქტურის წიგნია, თავისუფლად რომ შეიძლება შეივსოს და შეივსოს, ის კი არა, შინაგანი კავშირები და გადაძახილები კიდევ უფრო გამკვეთრდეს და — „თეთრი ჯვრის ხეობისა“ არ იყოს — სანიმუშო და გასათვალისწინებელი იყოს ყველასთვის, ვინც სამოგზაურო რომანის დაწერას მოჰკიდებს ხელს.

— სხვა რა გისურვოთ, კვლავაც წარმატებით ევლოს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას საკალმასოდ საქართველოს გზებზე, არც სალაპარაკო დაგლეოდეთ და არც გულანთებული მსმენელები.

— მადლობის მეტი რა მეთქმის ასეთი მხურვალე სურვილისთვის. საკალმასო გზებით კი საბედნიეროდ ისე დაქსელილა და მზის გულზე გადახსნილა ჩვენი ქვეყანა, ამ სიმბოლიკის ემბაზში ამოვლებული: იადან ციისარტყელამდე და ციისარტყელიდან იამდე...

ცხოვრება მავთულ-ხლართებთან...

ოკუპანტების მიერ დაკავებულთა გზა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ გუშინ სპეციალური ანგარიში წარმოადგინა – „მავთულხლართების ზონა – ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები გამყოფ ხაზზე“.

ანგარიში ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოქალაქეებისგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

„ანგარიშის მიზანია, გავაანალიზოთ ის პრობლემები, რომლებიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს. ჩვენ ვეცადეთ 2008 წლის ომის შემდეგ, ათი წელი, გაგვეანალიზებინა და დავინახეთ, რომ ომის შედეგები კვლავ რჩება.. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობენ საპოლიციო საგუშაგოები. მოგეხსენებათ, ასეთი საგუშაგოები სოფლებისგან საკმაოდ დაცილებულია და მოსახლეობა ერთგვარად დაუცველად გრძნობს თავს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ ჰააგის სასამართლომ ეს დანაშაულები, დარღვევები, რომლებიც მასობრივ ხასიათს ატარებს, შეაფასოს და განიხილოს არაადამიანური და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების ჭრილში“, – განაცხადა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წარმომადგენელმა უჩა ნანუაშვილმა.

ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებულთა რაოდენობა საგანგაშოდ იზრდება. რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის სამსახურის მონაცემებით, დაკავებულთა რაოდენობა 2009-2016 წლებში 14 000 ადამიანს შეადგენდა.

მოყვანილია ნაწყვეტები კონკრეტული ამბებიდან, რასაც დაკავებულები უკან დაბრუნებისას იხსენებენ. აი, როგორ აღწერს ერთ-ერთი დაკავებული ღრომის დროებითი დაკავების საკანს:

„ჯერ ღრომში, სანამ საკანში შემიყვანდნენ, თავზე ჩაფხუტი ჩამომაფარეს, რომ არაფერი დამენახა. მიწისქვეშ არის ჩასასვლელი და იქაა საკანი. იქ გრილოდა, ფანჯრის მსგავსი ჰქონდა.

იქ სამი საათი ვიყავი. წყალი ან საკვები არ მოუტანიათ. ცხინვალში რომ გადამიყვანეს, იქ მორიგე კაცურად დამელაპარაკა - ხომ არაფერი გინდაო, მაგრამ ვერც ვერაფერს შევჭამდი, ისევ იყავი სამი-ოთხი დღე. კი მთავაზობდნენ საჭმელს, მაგრამ ერთხელ გამოვართვი პური მხოლოდ“.

ცხინვალის იზოლატორიდან დაბრუნებული დაკავებულის ცოლი კი ყვება, რომ მისი ქმარი „ფიცრების საწოლზე იწვა. იქიდან რომ გამოვიდა, ყველაფერი სტკიოდა. სიცივეც იყო იქ. ყველაფერი კი მოჰქონდათო.“

„საქონელს არ დაამწყვდევენ შიგნით, ისეთი მდგომარეობაა“ – ესეც არცევის ბაზა სხვა დაკავებულის აღწერით.

გალის დროებითი დაკავების იზოლატორს ერთ-ერთი დაკავებული ქალი ასე იხსენებს : **„გზაში ცუდად გავხდი და ვთხოვე, გამიჩერეთ მანქანა, წყალი დამალევინეთ-მეთქი. საერთოდ, ასე როგორ უნდა მოექცე ადამიანს?!. რამდენჯერმე ვთხოვე და მანქანა არ გააჩერეს, უკვე მისულები ვართ და ჩქარა მივალთო. მივხვდი, რომ წყლულის პრობლემა იყო. მეორე დღეს გადმომიყვანეს აქეთ და მივმართე ექიმს“.**

როგორ აკავებენ და ექცევიან „საზღვრის გადამკვეთებს“?

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ დაკავებული ერთ-ერთი პირი ამბობს, რომ გალში, სადაც სასამართლო სხდომა გაიმართა, პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მას თარჯიმანი არ მოუთხოვია, რადგანაც კარგად იცოდა რუსული ენა. თუმცა, როგორც დაკავებული პირი აღნიშნავს, მისთვის სასამართლო პროცესზე „საერთოდ არაფერი არ უკითხავთ“.

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაკავებული ერთ-ერთი პირი, რომელიც ცხინვალში წაიყვანეს, ამბობს:

„ოთხი საათი იქნებოდა და ცალკე შტაბი სადაც აქვთ, იქ ერთმა ქალმა დამკითხა. ხელი 30 ფურცელზე მაინც მომაწერინეს, მაგრამ არ წამაკითხეს. ვკითხე – რაზე მაწერინებთ ხელს-მეთქი და ძაან კარგად იცი, რაზეც აწერ ხელსო“.

2015 წლის სექტემბერში აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ორსული ქალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცდილობდა გადმოსვლას სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, როდესაც დააკავეს.

„დილის 5 საათზე წამოვედით, 7-8 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. საზღვარს რომ მივუახლოვდით, ვერ შევნიშნეთ. იქვე მდგარან და დაგვაკავეს ადგილზე. გვითხრეს, იქით არაა ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორია და ვერ გადაგიშვებთო. წაგვიყვანეს დროებითი მოთავსების საკანში. რაც უფრო მეტს დააკავებდნენ, მით უფრო მალე გადაჰყავდათ. ჩვენ შვიდნი ვიყავით ბავშვებიანად. არც წყალი მოგვცეს, არც საჭმელი და არაფერი. მიწისქვეშა გვირაბში ვიყავით, ცუდად გავხდი. 12 საათისთვის წაგვიყვანეს გალში.

ჯარიმები იყო გადასახდელი – ქართული ფულით, ალბათ, 120 ლარი თითო ადამიანზე, თუ იქ მცხოვრები იყავი, თუ სხვა რაიონიდან – მაშინ უფრო მეტი. შეიძლება სოხუმის სასამართლომდეც მისულიყო საქმე.“

დაკავების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობას დაკავებული ასე აღწერს: **„ჰიპერტონუსი დამემართა, ორი დღე ძალიან ცუდად ვიყავი. დახუთული ჰაერი იყო, ფანჯრები კი – არა.**

4 მეტრი ჰქონდა სიგრძე, ჭუჭრუტანაში შემოდიოდა სინათლე. არც ლეიბი იყო. იატაკი კი ნორმალური იყო. არც საბანი მოუციათ და არაფერი“.

2015 წელს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის საზღვართან ტყეში დაკავებული კაცი იხსენებს, რომ ის მოულოდნელად ხევიდან ამომხტარმა ნიღბიანმა და ავტომატიანმა რუსმა და იარაღის მუქარით აიძულეს, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე პირქვე წოლილიყო მიწაზე.

რუსი მესაზღვრე, რომელმაც მას ფეხსაცმელები გახადა, 10 000 ლარის ეკვივალენტ თანხას სთხოვდა: **„მარტო ეს მითხრა – თუ არ გადაიხდი, წაგიყვანო. ზევით სოფელია – წობი. კაზაკები არიან და იქ გაგატყავებენო, იქ ჩაგაბარებო – ეგ მითხრა მარტო. ისევ დამაწვინა, მერე ადგა და ბათინკები გამხადა და ფეხით მატარა. ვეხვეწებოდი, ფეხშიშველა ნუ მატარებ, ურემზე მაინც დამსვი-მეთქი, მაგრამ – არა! მერე შევეცოდე და გამომიშვა“.**

ადგილი, სადაც ინციდენტი მოხდა, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიაა, თუმცა დაკავებულის ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები აცხადებდნენ, რომ ეს ტერიტორია საქართველოს არ ეკუთვნის. დაკავებულის თქმით, მან ამ ფაქტის შესახებ პოლიციასაც შეატყობინა: **„პოლიციაც მოვიდა. ვუთხარი, წამო, დაგაჭერინებთ-მეთქი, მაგრამ – არაო, გვესვრიან ისინიო. ოქმი შეადგინეს, მაგრამ არაფერი. არც ბათინკები მოუტანია ჩემთვის ვინმეს და არც არაფერი“.**

რის გამო შეიძლება, აღმოჩნდე ოკუპანტების ხელში?

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ შესწავლილი საქმეები აჩვენებს, რომ გამყოფ ხაზებზე ადამიანებს ხშირად აკავებენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლით, დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების მიერ გავლებული ე.წ. სასაზღვრე ნიშნების მიღმა, ასევე – ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არ არის აღმართული გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი და სადაც დაკავება ადამიანებისათვის სრულიად მოულოდნელია. შედეგად, ადამიანებისათვის სრულიად განუჭვრეტადია, თუ რა ფაქტორები და საფუძვლები განაპირობებენ მათ დაკავებას. ისინი ხშირად მიუთითებენ, რომ რთულია, განსაზღვრო, თუ რა ტერიტორია შეიძლება წარმოადგენდეს უკანონო დაკავებისათვის სახიფათო ტერიტორიას.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბორდერიზაციის პროცესმა ინტენსიური ხასიათი 2013 წელს მიიღო. 2017 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით კი, მთლიანობაში, ბორდერიზაციის 30-ზე მეტი ინციდენტი დაფიქსირდა, რომელიც მოიცავს 33 სოფელს სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ და შვიდ სოფელს აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ.

ღობე ლატვია-რუსეთის საზღვარზე

ლატვიამ რუსეთის საზღვართან 93-კილომეტრიანი ეკლიანი მავთულის ღობეს მშენებლობა დაასრულა.

ღობის სიმაღლე 2,7 მეტრს აღწევს. ამის შესახებ ნათქვამია ლატვიის სასაზღვრო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. ღობეს მშენებლობის ღირებულება 21,168 მილიონ ევროს შეადგენს. ლატვია- რუსეთის საზღვრის სიგრძე 283,6 კილომეტრს შეადგენს, რუსეთთან მოსაზღვრე ზონის აღჭურვა 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს. 2015 წელს გაფორმდა შეთანხმება „ლატვია-რუსეთის საზღვრის გასწვრივ სახელმწიფო სასაზღვრო ზონის ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“.

რუსეთი ნაგებული ზესახელმწიფოა

შვედეთის **თავდაცვითი კვლევების ინსტიტუტის ექსპერტის იონას კელენის შეფასებით, რუსეთი გამალებულ შეიარაღებაში „აუტსაიდერი-ზესახელმწიფოა“.**

შვედი ექსპერტი საკუთარ მოხსენებაში წერს, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით დასავლეთის ქვეყნებს ჩამორჩება. მისი თქმით, ელექტრონულ ბომბთან დაკავშირებით მოსკოვის სტრატეგია პირადი შემადგენლობის, ტექნიკის და სამხედრო ინფრასტრუქტურის დაცვაზეა აგებული და აზარალებს „თავდაცვით და პრევენციულ ზომებს“. **„რუსეთს არ შეუძლია ფეხდაფეხ იაროს დასავლეთის უახლეს შეიარაღებასთან. ბუნებრივია, რომ მას გაცილებით იაფი უჯდება დაბალი შემჩნევადობასა და ობიექტების დაცვაზე აქცენტების გამახვილება“,** – აღნიშნავს კელენი. ექსპერტის თქმით, რუსეთის შეიარაღებაში უახლესი რადიოელექტრონული საშუალებების ზრდა, საბჭოთა დროინდელი მოდელების „რეანიმირებაა“, რომელიც „ნატოსთან და აშშ-სთან ბრძოლაზეა გათვლილი“.



◎ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ

ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲪᲙᲔᲠᲘ (ᲘᲡᲔᲘ)

ვახტანგ დავითაია, არატა ისოზაკი. ნარა. 1992.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ (8 მარტი, 2019) გამოქვეყნებულმა ცნობამ, იაპონელი არქიტექტორ არატა ისოზაკისათვის პრიცკერის პრემიის მინიჭების შესახებ, გამახარა და მრავალ სასიამოვნო მოგონებას გაუხსნა სათავე. არატასთვის ამ „არქიტექტურული ნობელის“ მინიჭება დიდად დაგვიანებულია. მსოფლიოს არქიტექტურული აზრი დიდი ხანია, კითხულობს, რატომ არა აქვს არატას პრიცკერის პრემია, ნუთუ აქაც პოლიტიკა და „ჩაწყობა“ მუშაობს?!

არატა ისოზაკი და აწ გარდაცვლილი ჩემი მეგობარი კიშო კუროკავა, ახალი იაპონური არქიტექტურის მამის — კენძო ტანგეს სტუდენტები იყვნენ, მათ მეტრის სტუდიაში რამდენიმე წელი დაჰყვეს, დავაჟკაცდნენ, შემდგომ განცალკევდნენ. მახსენდება 1977 წლის ჟურნალი „Japan Architect“-ის პუბლიკაცია — ორი ამომავალი ვარსკვლავის წარდგინება. მხატვარ ტოვარაია სოტატსუსის გრაფიკული ნამუშევრის „პერეფრაზი“. ოკეანის ფონზე, რომელსაც დიდი ასოებით აწერია „კენძო ტანგე“, შედარებით მოკრძალებულად, გაფანტულად, სტიქიურად ჩამოთვლილია 38 ახალგაზრდა იაპონელი არქიტექტორების გვარები, იაპონიის არქიტექტურის „ხვალინდელი დღე“. საოცარი წინასწარმეტყველებაა, — დღეს ყველანი არა მხოლოდ იაპონური არქიტექტურის, არამედ მსოფლიოს არქიტექტურის სახეებია. ხუთი მათგანი კი პრიცკერის პრემიის ლაურეატია. ამ ნახატზე კიშო და არატა განცალკევებით, ნახატის ზედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში, ქუხილისა და ელვის ღვთაებების ტრადიციული გამოსახულებებით არიან წარმოდგენილი, ერთი „Arata Isozaki“-ა, მეორე - „Kisho Kurokava“. ეს განსაკუთრებული პატივია, თანაც როდის? ორმოცი წლის წინათ ტექსტი გვამცნობს: „არატა ისოზაკიმ და კიშო კუროკავამ შეარყიეს კენძო ტანგეს პირამიდა“. გასაოცარი ლაკონიურობით, მეტაფორითაა გადმოცემული იაპონიის არქიტექტურის ცის კაბადონზე ორი კაშკაშა მნათობის გამოჩენა.

არატა კიშომ გამაცნო. ის კიშოზე და ჩემზე სამი წლით უფროსია, ტანსრული, დინჯი, მშვიდი. შემდეგ იყო შეხვედრები სხვადასხვა არქიტექტურულ ფორუმებზე, ფუნდამენტალურად, რამდენიმედღიანი კი ნარას არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეზე, 1992 წლის მაისში, როდესაც ერთ სცენაზე, ერთ „ხალიჩაზე“ საავტორო ჩვენებით (კონფერენციით) მოგვიხდა გამოსვლა არატა ისოზაკის, სერ რიჩარდ როჯერს (ინგლისი), ჰანს ჰოლლაინს (ავსტრია) და მე. უკვე სამივე პრიცკერის პრემიის ლაურეატია.

იმ დღის (17 მაისი 1992 წ.) ტრიუმფატორი არატა იყო. მისმა ნარას კონგრესცენტრის პროექტმა გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში, სადაც 640 პროექტი იყო წარმოდგენილი. მისი საავტორო გამოსვლა სწორედ ამ პროექტის ჩვენებას მიეძღვნა.

პრიცკერის არქიტექტურული პრემია დაარსდა 1979 წელს. პრემიის პირველი ლაურეატი გახდა ამერიკელი არქიტექტორი ფილიპ ჯონსონი. პრიცკერის ოჯახი ცნობილია როგორც საგანმანათლებო, რელიგიური, სოციალური, მეცნიერული, სამედიცინო და კულტურული აქციების მხარდამჭერი, მეცენატი, განსაკუთრებით კი არქიტექტურის. შტაბბინა მდებარეობს ჩიკაგოში. არქიტექტურული პრიცკერი ენიჭება ყოველწლიურად ერთ პრაქტიკოს არქიტექტორს რეალიზებული პროექტისათვის, „გამორჩეული მხატვრული ხედვისათვის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო საკაცობრიო კულტურაში და გარემოს განვითარება-სრულყოფაში“.

პრემია ასი ათასი დოლარია, მედლით და თანამდევი ატრიბუტიკით. პრემიის გადაცემა ხდება საზეიმოდ, ისტორიულ შენობაში, სხვადასხვა ქალაქში და ქვეყანაში.

არატა არის უაღრესად თანამედროვე, უაღრესად იაპონური, მუდმივად ცვალებადი და მოულოდნელი.

ქართველი არქიტექტორების სახელით ვულოცავ გენიალურ კოლეგას ამ დაგვიანებულ ჯილდოს.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,
არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,
ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი

◎ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲜᲘ

ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝᲡ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ

მე-20 საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ხელმოკლეთა, პირველ ყოვლისა, სტუდენტების შემწეობა იყო.

ერთი მათგანი, ვინც ახალგაზრდობის გასაჭირს გამორჩეული გულითადობით ეხმიანებოდა, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ფაქტობრივი თავმჯდომარე (ოფიციალურად ამ თანამდებობას იმპერატორის გვარის რომელიმე წევრი იკავებდა), გენერალი **ივანე ნაკაშიძე** იყო, რომელიც სტუდენტებს არა მარტო მატერიალურად, არამედ, თავის კავშირებისა და გავლენის წყალობით, მათ სახაზინო სტიპენდიების მიღებაშიც ეხმარებოდა. მისი თავმდებობის წყალობით შეწყდა კურსების მსმენელის **ელენე ქიქოძისა** და სტუდენტ **სერგო ხუნდაძის** რევოლუციური მოღვაწეობის ძიების საქმე. ლატარიაში დიდძალი ფულის მომგებმა კომპოზიტორმა **მელიტონ ბალანჩივაძემ** თანხის ნაწილი სტუდენტებში გაანაწილა, ასევე გამოსცა თავისი საყვარელი კომპოზიტორის მ. გლინკას ეპისტოლარული მემკვიდრეობის სრული კრებული.

პიტერის სახლი-ჭების, მუშათა გარეუბნებისა და მოღუშულ ეზოებში მცხოვრები ხალხი სავიოლინო მუსიკის სასწაულს უზარმაზარ ქალაქში მოხეტიალე მუსიკოსის წყალობით ეზიარა. ეს იყო ლამაზი, ელეგანტურად გამოწყობილი კაცი — ზაფხულში აბრეშუმის ხიფთანი ეცვა, სიცივეში — ფართო მოსასხამი, რომლის კალთებიდან თავის ჯადოსნურ ვიოლინოს იღებდა და ფანჯრებქვეშ არნახული სილამაზის მელოდიების დაკვრას იწყებდა — ეს იყო შუბერტის „სერენადა“, მასნეს „ელეგია“, გრიგის სუიტა „პერ-გიუნტი“, ჩაიკოვსკის, გლინკას, ბალანჩივაძის მუსიკა. მოკლე დროში იგი დიდად პოპულარული გახდა, სტუდენტები, ქუჩის ბიჭები და მუსიკაში გათვითცნობიერებული ხალხი მას გუნდად დაჰყვებოდა. მის შესახებ ათას მოგონილ ამბავს ყვებოდნენ. სინამდვილეში კი ის 1906 წელს ვიოლინოს კლასით მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, უნიჭიერესი მუსიკოსი **ილიკო ქურხული იყო**. ღია ცის ქვეშ კონცერტებს იგი მხოლოდ საკუთარი ნებით მართავდა, ვინაიდან თავის მოვალეობად მიაჩნდა მშრომელი ხალხი კლასიკურ მუსიკას ეზიარებინა. „ხალხში სიარულმა“ ილიკო ქურხული პეტერბურგში ცნობილი კაცი გახადა. იქაური გაზეთები მას წერილებს უძღვნიდნენ, მეცენატები ცდილობდნენ საკონცერტო მოღვაწეობაზე დაყოლიებას, მაგრამ მე-ვიოლინე უშრეტი ენთუზიაზმით კვლავაც ეზოებში დაკვრას განაგრძობდა. ამ კონცერტებში მისი გასამრჯელო ფანჯრებიდან გადმოყრილი ხურდა ფული იყო, ზოგჯერ მოსამსახურეთა ოთახში ჩაიზეც ეპატიჟებოდნენ. მაგრამ, მუსიკოსს ახლოს რომ გაიცნობდნენ, მასპინძლები მას სტუმართა მისაღები ოთახების კარებსაც ფართოდ უღებდნენ. იგი რამდენჯერმე პოლიციის განყოფილებაშიც წაიყვანეს, მაგრამ ყოველთვის ბოდიშის მოხდით უშვებდნენ. ეს განათლებული, ვიოლინოზე, ბანდურაზე, დუდუკზე, ქნარზე დიდებულად დამკვრელი კაცი, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად არაჩვეულებრივად ლამაზი ხმაც ჰქონდა, დიდებული მიზნის მისაღწევად უსიტყვოდ ეგუებოდა ათას დამცირებას. მთელი პეტერბურგი სიგრძე-სიგანით რომ მოიარა, იგი რუსეთის შარაგზებს გაუყვა. 1913 წელს ილიკო ქურხული საქართველოში ცხოვრობდა, სადაც 1921 წლამდე სამუსიკო საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. შემდეგ ექვსი წელი ევროპაში მოგზაურობდა — ბოსფორიდან მოყოლებული პარიზამდე. მან მოიარა ბალკანეთი, ბულგარულ ენაზე გამოსცა წიგნი ქართული სიმღერის შესახებ. 1927 წელს ქურხული თბილისში დაბრუნდა და აქ საბოლოოდ დასახლდა. სიცოცხლის ბოლომდე იგი პროფესიული კონცერტებით და ქუჩის ლექციებით გამოდიოდა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ... ᲗᲐᲕᲐᲓᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ პეტერბურგის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ახალგაზრდობის ერთ-ერთი კერპი **ირაკლი წერეთელი** იყო. ნახევარი საუკუნის შემდეგ, კურსების ერთ-ერთი მსმენელი ქალიშვილი ასე იხსენებდა ტავრიჩესკი სასახლეში გამართულ სხდომას: „წერეთელი რომ ლაპარაკობდა, ეს მუსიკა იყო. ჩვენ ჭეშმარიტად ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებდით. მოულოდნელად ვიღაცამ მჭახე ხმით და მოჩლექით წამოიყვირა: „არის ასეთი პარტია!“ ჩვენ შოკში ვიყავით!“, — ასე აღწერს იგი ცნობილ შეხლა-შემოხლას პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკ წერეთელსა და ლენინს შორის, რომელიც 4(17) ივნისს გამართულ საბჭოების I ყრილობაზე მოხდა. მაშინ წერეთლის განცხადებაზე: **„...რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელსაც ეთქვას — მოგვეცით ძალაუფლება...“**, ლენინმა უპასუხა: **„არის ასეთი პარტია!“** საბჭოთა პროპაგანდა ლენინის ამ ფრაზას ხელისუფლებისთვის ბრძოლაში საკვანძო მომენტად მიიჩნევდა და ცხადია, რევოლუციაში მენშევიკების როლს უარყოფითად აფასებდა. არადა, ირაკლი წერეთლის პიროვნება სულ სხვა შეფასებას იმსახურებს.

ირაკლი წერეთელი გამოჩენილი მწერლის **გიორგი წერეთლისა** და **ნიკო ნიკოლაძის** დის — **ოლიმპიადა ნიკოლაძის** ვაჟიშვილი იყო. ციმბირში პირველად იგი სტუდენტურ ამბოხში მონაწილეობის გამო გადაასახლეს, მეორედ — 1907 წელს მეორე სათათბიროს დარბევის შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ბრალდებით. ამ სათათბიროში ირაკლი წერეთელი სოციალურ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და აგრარული კომისიის წევრი იყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი პეტროგრადში დაბრუნდა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში შევიდა. ამ დროისთვის წერეთელი „რევოლუციურ თავდამცველად“ ჩამოყალიბდა, რომელსაც ბრძოლაში ჩართული ყველა მხარის ძალისხმევით ომის შეწყვეტა აუცილებლობად მიაჩნდა. იგი საერთო პლატფორმაზე ყველა სოციალ-დემოკრატის გაერთიანების მომხრე იყო. ოქტომბრის რევოლუციას ირაკლი წერეთელი უარყოფითად შეხვდა. **„მიმდინარეობს რუსეთის ორ შეურიგებელ ბანაკად დაყოფა, სამოქალაქო ომის ხაზმა დემოკრატიის გულზე გაიარა“,** — განაცხადა პოლიტიკოსმა დამფუძნებელი საკრებულოს ტრიბუნიდან. მისი დაშლის შემდეგ კი იგი საქართველოში დაბრუნდა, სადაც დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1919 წელს იგი საქართველოს წარმომადგენელი იყო პარიზის (ვერსალის) კონფერენციაზე. საქართველოს რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, იგი იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. 1930-იანი წლების დასაწყისში მან სორბონის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მერე ჯერ საფრანგეთში, 1940 წლიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში იურიდიულ პრაქტიკას მიჰყო ხელი.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №48

◎ ფეხბურთი

ვაისის რჩეულნი

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა შვეიცარიასთან და ირლანდიასთან შესარჩევი მატჩებისთვის ცნობილია. ვლადიმირ ვაისმა გუნდში 25 ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის ერთი დებიუტანტია – ვატო არველაძე.

ვაისის რჩეულთა სია ასეთია:

მეკარეები: **გიორგი ლორია (მაგდებურგი, გერმანია), გიორგი მაკარიძე (ვიტორია, სეტუბალი, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი).**

მცველები: **ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე ერთკვეიკსი, აშშ), სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, დონეცკი, უკრაინა), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი(ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია).**

ნახევარმცველები: **ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ჯანო ანანიძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ვაკო გვილია (გურნიკი, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (ვისლა, პლოცკი, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე ერთკვეიკსი, აშშ), თორნიკე ოქრიაშვილი(ანორთოსისი, კვიპროსი).**

თავდამსხმელები: **გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი).**

ცნობისთვის: „ჯვაროსნებს“ ამჯერად ვერ დაეხმარება გიორგი ჩაკვეტაძე, რომელმაც ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო. სლოვაკმა სპეციალისტმა ზემოხსენებულ ფეხბურთელთა გარდა, გაფართოებული შემადგენლობის 9-კაციანი სიაც გაასაჯაროვა, რომელიც ასეთია:

ლაზარე კუპატაძე (ჟენესი, ლუქსემბურგი) ლევან გეგეჭკორი (ტორპედო, ქუთაისი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბათუმი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ბექა მიქელთაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი), ბუდუ ზივზივაძე (ტორპედო, ქუთაისი).

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2020-ის შესარჩევი ციკლისთვის მზადებას 18 მარტს დაიწყებს. „ჯვაროსნები“ წლის პირველ ოფიციალურ მატჩს 23 მარტს 18 საათზე „დინამო არენაზე“ შვეიცარიასთან ჩაატარებენ, ხოლო სამი დღის შემდეგ დუბლინში ირლანდიას ეწვევიან.

გიორგი ზოთაძე

◎ დაბრუნება

ზიდანის „რეალი“

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა კლუბში დაბრუნების შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა. ფრანგი სპეციალისტის განცხადებით, მას სხვა წინადადებებიც ჰქონდა, მაგრამ „რეალის“ გარდა სხვა გუნდში მუშაობა არ სურდა.



ზიდანმა კრიშტიანუ რონალდუს შესაძლო დაბრუნებაზეც გააკეთა კომენტარი:

„აქ დავბრუნდი, რადგან არც პრეზიდენტ ფლორენტინო პერესისთვის უარის თქმა შემეძლო და არც „რეალისთვის“. მე რამდენიმე წინადადება უარვყავი და ახლა აქ ვარ. მხოლოდ ლა ლიგის შემდეგ მატჩებზე ვფიქრობ. ეს ყველასთვის განსაკუთრებულია და ძალიან ბედნიერი ვარ სახლში დაბრუნებით. მინდა, „რეალი“ იმ სიმაღლეზე დავაბრუნო, როგორსაც იმსახურებს. მუშაობას ხვალიდან ვიწყებთ.

გუნდი დავტოვე იმიტომ, რომ ეს მე მჭირდებოდა, ხოლო გუნდს – ცვლილებები იმ გამარჯვებების შემდეგ. მქონდა სხვა ვარიანტებიც, მაგრამ სხვა გუნდში წასვლა არ მინდოდა, ახლა კი მინდა სამწვრთნელო საქმიანობას დავუბრუნდე და ეს 9 თვე ავინაზღაუროთ.

რონალდუს დაბრუნება? ეს არ არის შესაბამისი თემა. ყველამ კარგად იცის, კრიშტიანუმ ამ გუნდისთვის რაც გააკეთა, მაგრამ ახლა მასზე სალაპარაკოდ შესაფერისი მომენტი არაა“, – განაცხადა ზიდანმა.

შეგახსენებთ, რომ ზიდანი „რეალს“ მაისის შემდეგ გუშინ დაუბრუნდა და კონტრაქტი 2022 წლის 30 ივნისამდე გააფორმა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ლეგიონერი

საღაც ვშობილვარ...

„ბუდუჩნოსტის“ 19 წლის ქართველი ცენტრი გოგა ბითაძე მცირე ტრავმის მერე მოედანს ადრიატიკის ლიგის 21-ე ტურში დაუბრუნდა და მორიგი შოუ შემოგვთავაზა.

პოდგორიცელებმა სერბეთში გოგას ყოფილი კლუბი „მეგა ბემაქსი“ 77:70 დაამარცხეს, ქართველი ლეგიონერი კი მატჩის უძვირფასესი მოთამაშე (MPV) გახდა და, დიდი ალბათობით, მას ტურის საუკეთესო კალათბურთელადაც დაასახელებენ.

ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 27 წუთში 22 ქულა, 8 მოხსნა (5 შეტევაში), 1 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა.

ჩვენებურმა 12-დან 8 ორქულიანი, სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი მხოლოდ ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მის წინააღმდეგ 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, გოგას სარგებლიანობის კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა, რაც არა მხოლოდ აღნიშნული მატჩის, არამედ 21-ე ტურის საუკეთესო მაჩვენებელია.

„ბუდუჩნოსტმა“ ხორვატული „ცედევიტას“ მსგავსად 15 მოგება და 6 მარცხი მოაგროვა, თუმცა, ვინაიდან მეტოქეს ურთიერთშეხვედრებში ჩამორჩება, მე-3 ადგილი უკავია.

მონტენეგროელები რეგულარული პირველობის დასკვნით შეხვედრას 17 მარტს შინ ზაგრების „ციბონასთან“ გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ ჭადრაკი

ეგვიპტესთან – ნახევარი ქალით

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე მე-3 გამარჯვება იზეიმა. ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე ტურნირის მე-6 ტურში მათი მეტოქე აუტსაიდერი ეგვიპტე იყო, ამდენად, დამაჯერებელი შედეგი (3.5:0.5) გასაკვირი არ ყოფილა.

სუსტ ოპონენტებთან პარტიები ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ბაციაშვილმა და სალომე მელიამ მოიგეს, მერი არაბიძემ კი ყაიმით დაასრულა. შედეგად, საქართველოს ნაკრები 8 ქულით მე-4 ადგილს ინარჩუნებს. ლიდერი ჩინეთია 12 ქულით, მას კი კვალში რუსეთი (10) და უკრაინა (9) უდგანან.

მე-7 ტურში, ცენტრალური უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირება იქნება, ჩინეთი ეგვიპტეს ეთამაშება, ხოლო საქართველოს მეტოქე მასპინძელი ყაზახეთი იქნება.

გეჟან დოლიძე

◎ სუმო

უარყოფითი ბალანსით

ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე საგაზაფხულო სუპერტურნირის მე-3 დღეს მეორედ დამარცხდა და უარყოფით ბალანსზე გავიდა. ეს განსაკუთრებით სახიფათოა იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებური კადობანში გახლავთ ჩაყენებული და კაჩი-კოშის დაფიქსირების შემთხვევაში ოძეკის პრესტიჟულ ტიტულს დაემშვიდობება.

ტოჩინოშინის გუშინდელი მეტოქე კომუსუბი ჰოკუტოფუჯი იყო, რომელმაც ქართველი ფალავანი დოჰიოდან ოშიდაშით გაიყვანა. ამჯერადაც ნათლად გამოჩნდა, რომ გორგაძე ჰარუ ბაშოზე სრული დატვირთვით ვერ ირჯება და სწორედ იმ კომპონენტში, ანუ ძალისმიერ შერკინებაში იჩაგრება, რაც ყოველთვის მისი ძლიერი მხარე იყო.

ქართველი სეკიტორი მდგომარეობის გამოსწორებას შეჯიბრის მე-4 დღეს ეცდება, როდესაც მის პირისპირ აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ნიშიკიგი დადგება. ეს უკანასკნელი ასევე ვერ ყოჩაღობს და ოსაკაში ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია, ამასთან, ტოჩინოშინი მას ურთიერთშეხვედრებში 3:2-ს უგებს.

ამ დროისთვის მაქსიმალური შედეგით ჰარუ ბაშოს 7 მონაწილე ლიდერობს, რომელთა შორის იოკოძუნა ჰაკუჰო და ოძეკი გოეიდოც არიან.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში პირველი გამარჯვება იზეიმა გაგამარუს შიკონათი ცნობილმა თეიმურაზ ჯუღელმა. აღმოსავლეთის მე-8 განთესვის მქონე ქართველმა გოლიათმა დასავლეთის მე-6 ნომერი ცურუგიშო ჰატაკიკომით დაჯაბნა, დღეს კი ძალებს აღმოსავლეთის მე-5 რეიტინგოსან ვაკატაკაკაგესთან მოსინჯავს, რომელთანაც თანაბარი ბალანსი (1:1) აქვს.

კოგა კოგახიძე

◎ გამოიცა

თაბორი და თაბორელები

ამას წინათ გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა ფერადად ილუსტრირებული წიგნი „თბილისის თაბორის მთის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერი“, რომელიც თაბორის მთის ფერისცვალების მონასტრის განახლების სულისჩამდგმელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ეძღვნება.

ნაშრომის ავტორი გახლავთ ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, თაბორის მთის მონასტრის მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი.



თხზულებაში მიმოხილული, შეჯერებული და გაანალიზებულია სხვადასხვა ეპოქის ქართველ მეცნიერთა ნააზრევი თბილისის, როგორც ციხე-ქალაქის დაარსებისა და განვითარების შესახებ. ავტორი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას თაბორის მთაზე: **„საბედნიეროდ, ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას თანაზიარ ქართველ ერს ქრისტიანობის ჩასახვის პირველივე საუკუნიდან ჰქონდა თავისი თაბორი, სულიერი ფერისცვალებისა და ფიზიკური გადარჩენის წმინდა ადგილი, რომელიც აგერ უკვე 1700-წლოვან ისტორიას ითვლის“, — წერს იგი.**

სიტყვა „თაბორი“, მკვლევრის აზრით, ქართულ ტოპონიმიკაში დამკვიდრდა დაახლოებით III-VIსაუკუნეებში, როდესაც ქართლში, კერძოდ, მცხეთასა და მის მიდამოებში მიმდინარეობდა ქრისტიანობის გავრცელება. “ქართლის ცხოვრებასა“ თუ სხვა საისტორიო წყაროებში „თაბორი“ მოიხსენიება, როგორც „მთაბორი“, მე-18 საუკუნიდან — როგორც „სეიდაბადი“, მე-19 საუკუნეში — „ხარფუხად“.

მტერმა მრავალგზის ააოხრა თაბორის ციხე და ეკლესიები. დასტურად ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიც კმარა: „აქ თაბორის ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსრვილი არს. ყოფილან ეკლესიანნი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან“.

„მრავალგზის ააშენა და დაამშვენა მადლიერმა ქართველმა ხალხმა უფლის ფერისცვალების სახელობის მთავარი ტაძარი. ბოლოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში განახლდა ის, 1860 წლისთვის კი უკვე დანგრეულად ჩანს. შემდეგ რა ბედი ეწია, უცნობია. თუმცა, ჩვენი ბრძენი პატრიარქის წყალობით, ლოცვა-კურთხევით, მონდომებითა და ღირსეული მამულიშვილების თანადგომით 1996 წელს იკურთხა ტაძრის საძირკველი, ხოლო 2002 წელს — თვით ტაძარი. იმავე ხანებში აქ დაფუძნდა მამათა მონასტერი, რომელშიც ყოველ შაბათ-კვირას და დიდ დღესასწაულებზე ღვთისმსახურება აღესრულება“, — ამბობს იოანე (მამუკა) ცუხიშვილი.

წიგნში მრავლად არის ცნობები იმ ბერ-მონაზვნებზეც, რომლებიც დღეს მონასტერში მოღვაწეობენ. „ღმერთმა მოგვმადლოს ნიჭი და გონიერება იმისა, რომ ჩვენს გულებშიც იშვას თაბორი, რათა სულ მალე მოხდეს ჩვენი სულიერი ფერისცვალება“, — წერს წიგნის დასასრულს ავტორი.

ჩვენი სურვილიც ეს არის. ამინ!

ვაჟა დანელია

◎ ტრადიციების მცველი

ამხანაგი... თავადი

(მეცხრე გვერდიდან)

იგი მრავალ საერთაშორისო ფორუმზე ქართველ სოციალ-დემოკრატთა და II ინტერნაციონალის აღმასკომის თავმჯდომარე იყო.

ირაკლი წერეთელი ნიუიორკში 1959 წლის 21 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზის მახლობლად ლევილ-სიურ-ორჟის სასაფლაოზე, სადაც 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები განისვენებენ.

რევოლუციისდროინდელი ბესტსელერის გმირად **ივანე დიმიტრის ძე რატიშვილზე** უკეთ არავინ ივარგებს. ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლები, ოქტომბრის გადატრიალების დროს საარაკოდ მამაცური საქციელი და უზადო კეთილშობილება მისი ხვედრი გახლდათ. იგი მეფის ერთადერთი გენერალი იყო, რომელმაც ბოლშევიკებისგან მიმართვა „ამხანაგო თავადო!“ დაიმსახურა. ზამთრის სასახლის სამმართველოს უფროსის მოადგილემ და მისმა პოლიცმეისტერმა, თავადმა ივანე რატიშვილმა 1917 წელს მისი შტურმის დროს

ივანე დიმიტრის ძე
რატიშვილი

სახელმწიფო განძეულობა გადაარჩინეს. მან თავის გვარდიელებს იმპერატორის განძეულის სასახლის უფრო უსაფრთხო ნაწილებში გადატანა უბრძანა, თავისი 16 წლის ვაჟიშვილი დიმიტრი ორ სანდო გრენადერთან ერთად კი მათ საყარაულოდ გაგზავნა. გადამალულ განძეულობაში იყო სახელგანთქმული ბრილიანტით „ორლოვით“ დამშვენებული მეფის სკიპტრა. შემდეგ ივანე რატიევმა მოლაპარაკება გამართა ვლადიმერ ანტონოვ-ევსეენკოსთან, რომელიც ზამთრის სასახლის შტურმს ხელმძღვანელობდა და დაარწმუნა, რომ სასახლე ძარცვისა და დარბევისგან უნდა გადაერჩინათ. საბჭოთა ხელმძღვანელობამ თავად ი. რატიევს საჯაროდ მადლობა გადაუხადა (გაზეთი „იზვესტია“, 1917 წლის 5 ნოემბერი) **„თავდაუზოგავი შრომისთვის სახალხო განძეულის დაცვისა და შენახვის საქმეში“,** მერე კი ზამთრის სასახლის და პეტროგრადის რაიონის ყველა მუზეუმისა და სასახლის მთავარ კომენდანტად დანიშნა.

1919 წლის მარტში თავადი ივანე რატიევი პეტროგრადიდან მოსკოვში გაგზავნილ „ოქროს ეშელონს“ გაჰყვა, რომლითაც ქვეყნის ოქროს მარაგი გადაიტანეს. რატიევს კატეგორიულად სთხოვდნენ ეშელონის გაჩერებას, ქალაქ ტვერში მას ზარბაზნებიც კი დაუშინეს, მაგრამ გენერალმა უაღრესად სახიფათო მისია პირნათლად შეასრულა და ოქროს მარაგი ახალ დედაქალაქში ჩაიტანა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

(გაგრძელება იქნება)

დავით კირკიტაძე კვლავ პატიმარია...

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით კირკიტაძე, მოსამართლემ კვლავ პატიმრობაში დატოვა. საქმის განხილვაზე მოსამართლემ დაცვის მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

გუშინდელ სხდომაზე კირკიტაძის გათავისუფლების შუამდგომლობასთან ერთად დაცვის მხარემ ხელმოწერები და ის პირები წარადგინა, რომლებიც ენმს წევრს თავდებში უდგებოდნენ.

შეგახსენებთ, გაერთიანებული ოპოზიციის წევრი დავით კირკიტაძე 17 დეკემბერს დააკავეს. კირკიტაძე დაკავებულია ველისციხეში გამართულ აქციაზე პოლიციელზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის.

სანთელი

მეგობრის ხსოვნას



გარდაიცვალა რეზო ლორთქიფანიძე, ჩვენი ძვირფასი მეგობარი, რომლის განვლილი ცხოვრება — 8 ათეული წელი საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ თანამედროვეებმა პირუთვნელად შეაფასონ მისი პიროვნული თვისებები.

რეზო ლორთქიფანიძე მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე იყო გამორჩეული: წარჩინებული სკოლის მოსწავლე, წარჩინებული სტუდენტი, ერუდირებული ექიმი-კარდიოლოგი, უბადლო პედაგოგი, თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, საოცრად კაცთმოყვარე და ერთგული მეგობარი. მისთვის უცხო იყო შური და ეგოიზმი, ის სხვისი ბედნიერებით ცხოვრობდა, მას სხვისი სიხარული ახარებდა და სხვისი ჭირი ადარდებდა.

ჭეშმარიტების გამომხატველია ქართული სიტყვა გარდაცვალება, ანუ სახეცვლილება, ანუ უკვდავების სამყაროში სულის გადანაცვლება. რეზო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა მისი მეგობრების გულში. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

მეგობრები,
კარდიოლოგიური კლინიკის თანამშრომლები.

ხსოვნა

სს „თბილქალაქმშენი“, თეიმურაზ ჯანაშია, ანგელატ თოფურია და ვაჟა ადეიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სს „თბილქალაქმშენის“ ყოფილი მთავარი ბუღალტერი

ნიკოლოზ მიდელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გლდანში „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის 8 მარტს გლდანში „საქართველოს ბანკზე“ მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი გახსნა. ყაჩაღობის, პოლიციელზე თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულია 2 პირი - წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1998 წელს დაბადებული ნ.ქ. და ასევე, წარსულში ნასამართლევი, 1999 წელს დაბადებული კ.გ. დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ შეიარაღებული და ნიღბიანი ბრალდებულები გლდანში „საქართველოს ბანკში“ შეიჭრნენ და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ფული მოითხოვეს. ბანკის თანამშრომლებმა განგაშის სიგნალით დაცვის პოლიცია გამოიძახეს. ბანკის ფილიალთან მისულ დაცვის პოლიციას თავდამსხმელებმა ცეცხლი გაუხსნეს. სროლისას არავინ დაშავებულა. ბრალდებულებმა ბანკის ფილიალზე ყაჩაღურ თავდასხმამდე თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს 2 მოქალაქეს და კუთვნილი ავტომანქანა ჩამოართვეს. პოლიციის ოპერატიული რეაგირების შედეგად თავდამსხმელები იძულებული გახდნენ მძევლად აყვანილი ორივე მოქალაქე გაეთავისუფლებინათ და შემთხვევის ადგილიდან გატაცებული ავტომანქანით მიიმალნენ.

პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო გატაცებული ავტომანქანა, რომელიც ბრალდებულებმა კვალის დაფარვის მიზნით დაწვეს.

დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა და გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

დადგენილია დანაშაულში მონაწილე მესამე პირიც და მისი დაკავების მიზნით მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. მთელი ღამის განმავლობაში ბრალდებულები დაზარალებულებთან ერთად იმყოფებოდნენ და მათ არ ჰქონდათ თავზე არაფერი ჩამოფარებული. სწორედ ასე შეძლეს ბრალდებულთა ამოცნობა. **რაც შეეხება გატაცებულ თანხას, პროკურორის თქმით, მიახლოებითი თანხა, რაც ბრალდებულებმა გაიტაცეს, არის 8 100 ევრო, 13 000 დოლარი და 10 ათასი ლარი.**

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

ვინ იყვნენ მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მდიდარი ადამიანები

მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მდიდარი ადამიანი მანსა მუსა იყო — მე-14 საუკუნეში დასავლეთ აფრიკის მმართველი. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, რუდოლფ ბაჩ უეირის თქმით, მანსა მუსას სიმდიდრის ოდენობის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ამბობენ, რომ მუსას ქონება 400 მილიარდი დოლარი იყო, თუმცა ეკონომიკის ისტორიკოსების თქმით, ის გაცილებით დიდ ქონებას ფლობდა.

მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეული კი ასეთია:

მანსა მუსა (1280-1337) — მისი ქონების ზუსტი ოდენობა უცნობია;
ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ.წ. 63 — ჩვ.წ. 14) - 4.6 ტრილიონი დოლარი;
იმპერატორი შენზონგი (1048-1085) — მისი ქონების ზუსტი ოდენობა უცნობია;
აკბარ I (1542-1605) — მისი ქონების ზუსტი ოდენობა უცნობია;
ენდრიუ კარნეგი (1835-1919) — 372 მილიარდი დოლარი;
ჯონ როკფელერი (1839-1937) — 341 მილიარდი დოლარი;
ნიკოლაი ალექსანდროვიჩ რომანოვი (1868-1918) — 300 მილიარდი დოლარი;
ოსმან ალი ხანი (1886-1967) — 230 მილიარდი დოლარი;
უილიამ I დამპყრობელი (1028-1087) — 229 მილიარდი დოლარი;
მუამარ კადაფი — (1942-2011) — 200 მილიარდი დოლარი.

სხვადასხვა თქმები

ქალი კაცების ყველაზე ძლიერი სუსტი მხარეა.

* * *

სუსტი სქესის ძალა მის მიმართ ძლიერის სისუსტეშია.

* * *

სიყვარულის ანბანში მარტო შორისდებულებია.

* * *

ძლიერ ადამიანებს ყველაფრის დაძლევის უნარი აქვთ, სხვათა სისუსტეების გარდა.

* * *

სუყოველ ქერა ქალს შეუძლია იმის მტკიცება, რომ ნათელი თავი აქვს.

* * *

ნუმავეში თუ მოხვდი, გარშემო მყოფთაც ნუ გასვრი, წყნარად იჯექი.

* * *

სიხარული რომ გაამრავალფეროვნო, სხვასაც გაუყავი.

* * *

ცხოვრება ისერიგად უსწორმასწოროა, რომ აზრი არა აქვს წონასწორობის დაკარგვას.

* * *

მოდა ხან ისე კივის, რომ ბევრ კაცს თმა ყალყზე უდგება.

* * *

მომავლის რწმენა ადვილი საქმეა, ბევრად ძნელია წარსულის რწმენა.

* * *

კარგ სუნამოს ყოველთვის ოდნავ დიდძალი ფულის სუნი უდის.

* * *

ქმრების ყველაზე მავნე ჩვეულება ცოლები არიან.

* * *

მოკრძალება შეუმჩნევლად გვამშვენებს.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ამერიკული იარაღის ექსპორტი იზრდება

2014-2018 წლებში 2009-2013 წლებთან შედარებით მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის მაჩვენებელი 7,8%-ით გაიზარდა. ექსპორტის ლიდერი კი აშშ-ია. ამის შესახებ სტოკჰოლმის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის SIPRI-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია ნათქვამი. 2014-2018 წლებში ექსპორტიორთა მსხვილ ხუთეულს წარმოადგენდა აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და ჩინეთი.

ჯამში ამ ქვეყნებმა ექსპორტის 75% განახორციელეს. 2009-2013 წლებსა და 2014-2018 წლების პერიოდში ახლო აღმოსავლეთში იარაღის მიწოდების ნაკადი გაიზარდა, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში ექსპორტის შემცირება დაფიქსირდა. აშშ მსოფლიოში იარაღის ძირითადი სახეობების უმსხვილეს ექსპორტიორად რჩება და სხვა ექსპორტიორებთან შედარებით ექსპორტის ზრდა 2014-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„იარაღის ძირითადი სახეობების ექსპორტი 2014-2018 წლებში რუსეთთან შედარებით 75%-ით მაღალი იყო, მაშინ როდესაც 2009-2013 წლებში ეს მაჩვენებელი 12% შეადგენდა“, — ნათქვამია ანგარიშში. ამერიკული ექსპორტის დიდი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში წავიდა.



SIPR-ის შეიარაღების პროგრამის დირექტორმა ოდ ფლორანმა განაცხადა, აშშ-მა იარაღის მიწოდების საკითხში პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცეს. მისი თქმით, აშშ-მა აღნიშნულ პერიოდში იარაღის ექსპორტი 98 ქვეყანაში მოახდინა. ამასთან, რუსეთის ექსპორტი 2014-2018 წლებში 17%-ით შემცირდა, ძირითად ინდოეთის და ბრაზილიის მიერ რუსული იარაღის შესყიდვის შემცირების ფონზე. იარაღის ექსპორტი შეამცირეს ასევე საფრანგეთმა და გერმანიამ 43 და 13%-ით. ჯამში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპორტმა 2014-2018 წლებში 27% შეადგინა.

პრეზიდენტი შვილს აუპატიურებდა



12 წლის განმავლობაში მე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ვიყავი, აცხადებს ნიკარაგუის პრეზიდენტის დანიელ ორტეგას აყვანილი ქალიშვილი ზოლამერიკა ნარვეს მურილიო. მისი განცხადებით, მამობილი მასზე ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან ძალადობდა, როცა „ნიკარაგუის სანდინისტური რევოლუციის“ ლიდერი იყო.

მურილიო აცხადებს, რომ ორტეგას მისადმი სექსუალური ინტერესი 1977-78 წლებში გაუჩნდა, როდესაც ის ჯერ კიდევ 10 წლის ბავშვი იყო. ამის შესახებ მურილიომ ჯერ კიდევ 1998 წელს განაცხადა, თუმცა, ორტეგა ბრალდებას უარყოფდა, ხოლო ნიკარაგუის სასამართლომ 2001 წელს საქმე წარმოებაში არ მიიღო, მისი ხანდაზმულობის გამო.

„ის მაშინ რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მას „დედის მამაკაცად“ ვთვლიდით. მან ჩემს პირად სივრცეში შემოჭრა დაიწყო. მე ვცდილობდი, თავი დამეცვა, არ ვინძრეოდი, ვითომ მეძინა. მაგრამ ის არ ჩერდებოდა. მას შემდეგ, რაც 1979-ში რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს და სამოსა დაამხეს, ორტეგამ დიდი ძალაუფლება მიიღო. პარალელურად სექსუალურ ძალადობასთან ერთად, მას ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშაც ვყავდი. როდესაც ის მე მაუპატიურებდა, თან მეუბნებოდა, რომ მე უკვე მზად ვიყავი ამისთვის, ჩემი სხეული ჩამოყალიბებული იყო. მე მეშინოდა ეს ყველაფერი დედისთვის მეთქვა, თუმცა, სავარაუდოდ, დედამ ეს იცოდა, მაგრამ დანიელ ორტეგას შეჩერება ვერ შეძლო. როდესაც 1998-ში მე ამის შესახებ ოფიციალურად განვაცხადე, დედაჩემმა და ორტეგამ ამ ყველაფრის უარყოფა დაიწყეს, ხოლო მე სხვადასხვა თავდასხმის ობიექტი გავხდი, გიჟი, მატყუარა და ამერიკის აგენტი გავხდი. ფორმალურად, ორტეგა სასამართლოს წინაშე წარსდგა, მაგრამ რადგან იგი ქვეყანაში ყველაფერს აკონტროლებდა, სასამართლომ საქმის ხანდაზმულობა მოიმიზეზა და წარმოება შეწყვიტა. ის ჩემთვის ყოველთვის მოძალადედ დარჩება, ხოლო დედა — მის ხელშემწყობად,“ — აცხადებს მურილიო BBC-სთან ინტერვიუში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) Ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6866; ევრო - 3.0214;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4910
100 რუბლი - 4.0675; თურქული ლირა - 0.4942;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5844;
1000 სომხური დრამი - 5.4997.

ამინდი 13 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +19
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +19
თბილისი:	ღამე +5,	დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge